# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი, 2013 წელი.

№208 (7335)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ღატაკი ქვეყნის მსუქანი შვილები



**სააკაშვილმა ახალ პრეზიდენტს მხოლოდ 5 ათასი ლარი დაუტოვა!** 4

**სამეგრელოში ტყავგამოცვლილი ნაციონალები „ქართული ოცნების“ სახელით მოქმედებდნენ!** 2

**რა და როგორ უნდა გადავიხადოთ მიწის საკუთრებისთვის?** 6



მამუკა არეშიძე:

## საქართველოში 300 ათასი ქერქეტი აღმოჩნდა 3

## მტარვალი გზირი 11

## რას ნიშნავს ერის რაციონალური აზროვნება მარგველაშვილისეული ინტერპრეტაციით? 5

მარკ ტვენი 9

## ჩვენ – ანგლოსაქსები



## სატყეო დარგი სისტემურ ცვლილებებს მოითხოვს 7

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

**პირუთვნელი აზრი**

# ეს იოლი გამარჯვება არ ყოფილა

**ივანიშვილი-მარგველაშვილის ტანდემმა საბოლოო ჯამში არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა. ხალხმა თავისი იმედები სწორედ ტანდემს დაუკავშირა. მაგრამ ეს გამარჯვება მაინც არ ყოფილა იოლი, ამის მიზეზს კი, „ქართული ოცნების" მხრიდან გამოვლენილ ერთგვარ უხერხემლობასთან ერთად, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ზოგიერთი მოქმედება და განცხადება წარმოადგენდა. კერძოდ, მისი შეხვედრები ე. წ. ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან მეტად მწვავე ხასიათს ატარებდა და პრემიერ-მინისტრი თავისი სტუმრების მისამართით მძაფრ გამონათქვამებს არ ერიდებოდა.** მაგრამ „პიარის" ერთ-ერთი უმთავრესი კანონი ასეთია: არ შეიძლება ჟურნალისტების გალანძღვა, აუცილებელია მათი მომხრობა შენს მხარეს; ასევე უნდა მოიმხრო კომენტატორები, რომლებიც მასმედიაში ხშირად ჩანან.

ბიძინა ივანიშვილმა თითქოს სპეციალურად მოახდინა ამ წესის უგულებელყოფა და ყველაფერი ზუსტად ამის საპირისპიროდ გააკეთა. გაბოროტებული ჟურნალისტები და ე. წ. ექსპერტები ამ შეხვედრების შემდეგ პრემიერ-მინისტრს მისდგნენ, რომელიც, სააკაშვილისგან განსხვავებით, მათ მიმართ უაღრესად გულახდილი იყო (თუნდაც იმავდროულად მკაცრიც). ივანიშვილი მათი თავდასხმების ობიექტი გახდა, მას „არაადეკვატურიც" კი უწოდეს. ამასთან, არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე, ივანიშვილმა უარი თქვა საკუთარ სატელევიზიო არხზე და მისი მაუწყებლობა დააკონსერვა, ნაცვლად იმისა, რომ იქ თავი მოეყარა თავისი მხარდამჭერი ჟურნალისტებისათვის.

შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ყოველივე ამან ივანიშვილსა და მის მიერ მხარდაჭერილ მარგველაშვილს პრობლემები უნდა შეუქმნას. მაგრამ მოხდა საპირისპირო რამ - ხალხი გაჰყვა პრემიერ-მინისტრსა და მის კანდიდატს. დაე თავიდან გადაწერონ „ნაციონალების" დასავლელმა მფარველებმა თავიანთი სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები, ივანიშვილმა მათ განსჯისათვის კიდევ ერთი გამოცანა მისცა. პრემიერ-მინისტრმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მაინც ცოტა ზედმეტად იმპულსურია, მშვენივრად იგრძნო ხალხის „გადანაყრება" ჟურნალისტების გარკვეული კატეგორიის დილეტანტური გამოხდომებითა და ფსევდო-ექსპერტების გონებრივი ჭინთვებით, და მათ შესაბამისად მოექცა. ხალხი თავიდან თითქოს დაიბნა, მაგრამ სინამდვილეში მას ეს მოეწონა. ივანიშვილმა თავი აჩვენა, როგორც სახელმწიფო მოღვაწემ, რომელსაც ძალუძს, ყველას წინააღმდეგ წავიდეს, როდესაც თავის სიმართლეში დარწმუნებულია. უფრო მეტიც, ივანიშვილმა თავს უფლება მისცა, პოლემიკაში შესულიყო მთელ ქართულ საზოგადოებასთან, მისთვის პირობები წაეყენებინა — ისევ ამ საზოგადოების საკეთილდღეოდ. და იგი გაგებულ იქნა, და მან გაიმარჯვა!

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურმა სიმამაცემ შემდეგი მომენტები ცხადჰყო:

**პირდაპირი კომუნიკაცია ლიდერსა და ხალხს შორის შესაძლებელია თუნდაც 21-ე, „საინფორმაციო" საუკუნეში;**

**ლიდერს ასევე შეუძლია ჟურნალისტებისა და სატელევიზიო ექსპერტების რეიტინგზე ზეგავლენის მოხდენა, და არა მხოლოდ პირიქით.**

ეს უკვე ცოტა არ არის. მივულოცოთ ბიძინა ივანიშვილსა და გიორგი მარგველაშვილს, და ვუსურვოთ მათ წარმატებები საქართველოს სახელით!

**გულბაათ რცხილაძე,**
**ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი**

**მილოცვა**



საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი **„მამულიშვილთა გახსენება"** მიესალმება და გულთბილად ულოცავს მთელ ქართველ **ხალხს**, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონ **ბიძინა ივანიშვილის** მიერ პრეზიდენტის პოსტზე წარდგენილ პროფესორ **გიორგი მარგველაშვილის** დამაჯერებელ გამარჯვებას საპრეზიდენტო არჩევნებში.

გვჯერა, რომ ბატონი გიორგი უსათუოდ გაამართლებს ქართველი **ხალხის** დიდ ნდობას და **საქართველო გახდება ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული, ნამდვილი დემოკრატიული და სამართლიანობაზე დამყარებული ევროპული სახელმწიფო.**

**ღრმა პატივისცემით**
**ზონდო კოზაძე,**
**ფონდის პრეზიდენტი,**
**დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი.**

**დასაგმობი უნდა დაიგმოს!**

# სამეგრელოში ტყავგამოცვლილი ნაციონალები „ქართული ოცნების" სახელით მოქმედებდნენ!

**საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან, ამომრჩეველთა პასიურობასთან და სამეგრელოს რეგიონში „ნაციონალების" მაღალ პროცენტულ მაჩვენებლებთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას გვიზიარებს ყოფილი პოლიტპატიმარი, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო სამართლიანობისთვის" თავმჯდომარე რევაზ ბულია.**

„საქართველოში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები არის დასახვეწი და ამის შესახებ მე წერილით მივმართე საქართველოს პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს. ჩემი აზრით, არ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტს ირჩევდეს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 50% -ზე ნაკლები. სხვა ლოგიკით გამოდის, რომ არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს ამომრჩეველთა დიდი ნაწილი. ასევე არ უნდა დავუშვათ ის, რომ საპრეზიდენტო თუ სხვა დონის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მივცეთ ყველას, ვისაც თავი „მსუბუქი" აქვს, ან მოურჩენელი ამბიციები ახრჩობს. კანდიდატს, რომელიც მიიღებს საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებისთვის წარმოდგენილ ხელმომწერებზე ნაკლებ ხმას არჩევნებზე, დაჯარიმდეს სოლიდური თანხით და აეკრძალოს მომდევნო არჩევნებში მონაწილეობა. საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების" გამარჯვებით შექმნილმა რეალობამ გვიჩვენა რომ ქვეყანაში ყველა დონის არჩევნები უნდა ჩატარდეს ან ერთდროულად ან საპარლამენტო არჩევნებიდან არა უგვიანეს ოთხი თვისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ისეთ საბოტაჟს, როგორიც გვაქვს თბილისის მერიაში, სხვადასხვა დონის საკრებულოებში და გამგეობებში მოკალათებული „ნაციონალების" მხრიდან.

**— ბატონო რევაზ — სამეგრელოში „ნაციონალების" საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით ბაქრაძემ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია გიორგი მარგველაშვილს, ზოგიერთ უბნებზე მოუგო კიდეც, ეს მაშინ როდესაც ის მეგრელებს კანიბალებთან მიახლოებულ ეთნოსს უწოდებს. რამ განაპირობა „ნაციონალების" ესოდენ დიდი წარმატება და ამომრჩეველთა პასიურობა სამეგრელოს რეგიონში?**

— „ყველაფერი განაპირობა საარჩევნო კომისიების არასწორად დაკომპლექტებამ. ყველა დონის საარჩევნო კომისიები უნდა გავხადოთ პროფესიული, აქ დანიშნულ მოქალაქეებს უნდა აეკრძალოთ პოლიტიკურ გაერთიანებებში ყოფნა, ამასთანავე უკანონო ქმედების გამოაშკარავების შემთხვევაში კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს, თორემ დღეს არსებული მიდგომით მივიღებთ იმას, რაც ჩემს საარჩევნო უბანში მოხდა. ერთი „მამალი ნაციონალის" ოჯახის დიასახლისი ათი წელი იყო კომისიის თავმჯდომარე, თან ისეთი თავმჯდომარე, რომელიც თავისი აქტივისტების და კომისიის წევრების მეშვეობით ქალაქიდან გასახლებით ემუქრებოდა „ქართული ოცნების" მომხრე მეზობლებს. 27 ოქტომბერს ცოლი ქმარმა შეცვალა, ოღონდ უკვე „ქართული ოცნების" სახელით. შედეგს რასაც მივიღებდით თქვენთვის ნათელი უნდა იყოს. ამასთან რომელი თავმოყვარე ამომრჩეველი მივა ასეთ საარჩევნო უბანში? ამიტომაც არის რომ სამეგრელოში, სადაც ტყავგამოცვლილი ნაციონალები იყვნენ „ქართული ოცნების" სახელით საარჩევნო კომისიებში, თავმოყვარე ამომრჩეველთა 60 %-ზე მეტი არ მივიდა ხმის მისაცემად. აი ეს არის მეგრელების პასიურობის მთავარი მიზეზი და ამასთანავე, რა თქმა უნდა, ყვარყვარე ბაქრაძის ნაბოდვარიც".

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

**ახალი კადრი**

# ლაშა აბაშიძე — პრეზიდენტის ადმინისტრაციის მომავალი უფროსი



**გიორგი მარგველაშვილის პრესსამსახურმა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მომავალი უფროსის ლაშა აბაშიძის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. ბიოგრაფიული მონაცემების თანახმად, 2010-2012 წლებში ლაშა აბაშიძე ლონდონის საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტში მუშაობდა. ფინანსური ინსტიტუტის პროფილი საკრედიტო და საინვესტიციო მომსახურების გაწევაა.** ლაშა აბაშიძე იყო ბიზნესის განვითარების უფროსი-აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე და ზედამხედველობას უწევდა კომპანიის ძირითად საფინანსო-საოპერაციო საქმიანობას; ზედამხედველობდა კომპანიის სტრუქტურულ ერთეულებს, იურიდიულ, საკადრო, რისკებისა და ფინანსურ დეპარტამენტებს, ანგარიშების შესრულებას, ახორციელებდა ბიუჯეტირებას და უზრუნველყოფდა მისი პარამეტრების შესრულებას.

2007-2010 წლებში ლაშა აბაშიძე იყო „საქართველოს რკინიგზის„ ოპერაციათა მართვის და შესყიდვების სააგენტოს" უფროსი.

რაც შეეხება განათლებას, ბიოგრაფიული მონაცემების თანახმად, 2004-2005 წლებში ლაშა აბაშიძე სწავლობდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში და მიიღო სახელმწიფო მმართველობის მაგისტრის ხარისხი; 2004 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო სამართლის იურისტის სპეციალობით, ხოლო 2011 წელს დიდ ბრიტანეთში გაიარა ფინანსური მართვისა და აღრიცხვის სპეციალიზებული პროგრამა.

იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, კოალიცია „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო ფონდის მმართველი, მარგველაშვილის წარმომადგენელი ცესკოში.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მომავალი უფროსი ფლობს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

**ინფორმაცია**

# საქართველო ისრაელისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია

**საქართველოში ისრაელის ელჩი იუვალ ფუქსი საქართველოს მოსახლეობას გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას ულოცავს. ამის შესახებ ფუქსმა ჟურნალისტებს სასტუმრო „ჰოლიდეი ინნში„ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეგიონალური ამბასადორიალის შემდეგ განუცხადა.**

რაც შეეხება ამბასადორიალს, ელჩის განცხადებით, შემთხვევითი არ არის, რომ ეს შეხვედრა თბილისში ტარდება.

— ჩვენ მიგვაჩნია, რომ თბილისი არის მნიშვნელოვანი მოთამაშე არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და საქართველო არის მნიშვნელოვანი პარტნიორი ისრაელისთვის, — განაცხადა იუვალ ფუქსმა.

**SIC!**

# წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს შეუძლიათ მხოლოდ ვილნიუსის სამიტის სურნელი შეიგრძნონ



**როგორც მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, ვილნიუსიდან მიღებული მიწვევა, რომელიც იყო საქართველოს სახელზე, გულისხმობდა ერთი პლიუს ორი, პლიუს ხუთი დელეგაციის შემადგენლობას.**

— ერთი არის სახელმწიფოს მეთაური, ანუ დელეგაციის ხელმძღვანელი, ვინც წარადგენს ქვეყანას. უკვე ცნობილია, რომ ეს არის გიორგი მარგველაშვილი. ორი - ეს არის ორი მინისტრი და ხუთი არის დელეგაციის შემადგენლობა. იქ სწორედ მკაცრი შეზღუდვით მოხდება დელეგაციების მიღება. ერთი პლუს ორი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს მეთაურს შეუძლია თან ჰყავდეს ორი მინისტრი, რომლებიც იქნებიან ყველა მაღალი დონის ფორმატში, ხოლო ხუთი შეძლებს, რომ მოვლენებს თვალყური ადევნოს სპეციალურად შექმნილი დარბაზიდან. ეს არის ასეთი მკაცრი შეზღუდვა. რასაკვირველია, ყველას აქვს უფლება ტურისტული ან სხვა მიზნით ეწვიოს იმ პერიოდში ვილნიუსს და შეიგრძნოს ვილნიუსის სამიტის სურნელი, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

— მართალია ჯერ ინაუგურაცია არ ყოფილა, მაგრამ ვილნიუსიდან უკვე გვთხოვენ კონკრეტულ მონაცემებს დელეგაციის წევრების შესახებ. ალბათ, ზეგ ჩვენ უკვე ვიტყვით ვინ იქნება დელეგაციის შემადგენლობაში. ძალიან ცოტაა ხუთი, იმიტომ რომ ძალიან ბევრმა ხალხმა იმუშავა ასოცირების ხელშეკრულებაზე. სამწუხაროა, რომ ყველა ვერ მოახერხებს ვილნიუსში ყოფნას და სიხარულის გაზიარებას, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

კითხვაზე, იქნებიან თუ არა დელეგაციაში წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, ფანჯიკიძის თქმით, წინა ხელისუფლების წარმომადგენელი ვერ იქნება, რადაგან ხელისუფლებაში არ არიან.

— ჩვენ იმის ფუფუნების უფლება არა გვაქვს, რომ ხელისუფლებაში არმყოფი ხალხი წავიყვანოთ ვილნიუსში, იმდენად შეზღუდულია რაოდენობა, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

**ინტერპრესი**

**კანონმდებლები**

# პარლამენტმა მუშაობა განაახლა

**პარლამენტს უახლოესი პერიოდის განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. კერძოდ, მან უნდა განახორციელოს ახალი მთავრობის ფორმირება, რადგან მოქმედ მთავრობას პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება.**

როგორც ცნობილია, მმართველი გუნდი საგაზაფხულო სესიის, ანუ თებერვლის სხდომების გახსნას თბილისში გეგმავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მანამდე პარლამენტმა ის საკონსტიტუციო ცვლილება უნდა დაამტკიცოს, რომლის გათვალისწინებით, საკანონმდებლო ორგანოს ადგილად ქუთაისი განსაზღვრული არ იქნება. რაც შეეხება საკონსტიტუციო კვორუმთან დაკავშირებულ პროექტს, თუკი მას პრეზიდენტის ინაუგურაციამდე არ მიიღებენ, უკვე ფიცის დადების მომენტიდან ძალაში შედის კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციის გადასინჯვისთვის საჭიროა ხმების 3/4.

**საპრეზიდენტო არჩევნების შეფასება ვთხოვეთ ექსპერტ მამუკა არეშიძეს და ამასთანავე ვკითხეთ, უკავშირდებოდა თუ არა არჩევნებს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის გახსნა, რომლის შესახებ მან წინა დღით პრესაში განაცხადა.**



# მამუკა არეშიძე: საქართველოში 300 ათასი ქერქეტი აღმოჩნდა

**— ბატონო მამუკა საპრეზიდენტო არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა... რა გველოდება წინ?**

— საზოგადოება მთელი წელიწადი ელოდებოდა სამართლიანობის აღდგენას. ქვეცნობიერად დამშვიდდა მაშინ, როცა მარგველაშვილმა პირობა დადო, რომ 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დამთავრდება. ხალხმა კიდევ ერთხელ დაუჯერა „ქართულ ოცნებას" და შესაბამისად, გამოჩნდა კიდეც შედეგი. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მაისშიც იგივე შედეგი იქნება, თუ არ მოხდა სამართლიანობის აღდგენის გააქტიურება.

**— რას ნიშნავს ნაციონალების მიერ აღებული 22 პროცენტი?**

— მე შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში 300 ათასი უტვინო, ქერქეტი აღმოჩნდა. მაგრამ ეს ასე არ არის, არ მჯერა. მარგველაშვილის გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ მეორე-მესამე ადგილებს რაც შეეხება, ეს არის აბსოლუტურად ხელოვნური. მე ვამბობ, რომ მეორე ადგილისთვის არჩევნები პარადოქსულად გაყალბდა. ასეთი რამე არ არსებობს, არ შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ საქართველო ხომ პოლიტიკური ცდების ლაბორატორიაა — 1989 წლიდან მოყოლებული დღემდე.

**— სამართლიანობის პროცესის აღდგენის დაგვიანებამ, ხომ არ გადაქაჩა ხმები ნაციონალებისკენ?**

— არა, ეს პროცესი ზუსტად ნინო ბურჯანაძისკენ ქაჩავდა ხმებს. ის, ვინც „ქართული ოცნების" მხარდამჭერი იყო და ვერ მიიღო სასურველი შედეგი, ის ან ბურჯანაძეს მიემხრო, ან ისევ დაუჯერა მარგველაშვილს, ან საერთოდ არ წავიდა არჩევნებზე.

**— ვინ გააყალბა არჩევნები?**

— ისევ იმ გუნდმა, რომელიც აბსოლუტურად დამოუკიდებლად არსებობს; ნაციონალებმა, კონტროლის გარეშე რომ არსებობენ. არჩევნები გაყალბდა რეგიონებში, განსაკუთრებით არაქართველებით დასახლებულ უბნებში. როგორ დავიჯერო, რომ გარდაბანში, სადაც თემურ ფეიქრიშვილი ოცნების სასარგებლოდ ატარებდა არჩევნებს და რომელიც 9 წლის განმავლობაში ნაციონალების მონა იყო, ობიექტურ შედეგს დადებდა?!

**— ე. ი. გამოდის, რომ კიდევ ჰყავთ ნაციონალებს მხარდამჭერები, რომლებიც ინერციით უჭერენ მხარს?**

— კიდევ ჰყავთ და ამის საშუალება მათ ისევ ხელისუფლებამ მისცა კოჰაბიტაციის რეჟიმში. ინერციით მხარდამჭერი არავინაა, სულ ყველას ფეხებზე ჰკიდია ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ არის კომპრომატები, და კომპრომატებით მუქარა. ეს კი შესაძლოა იყოს 7-10 პროცენტი, მაგრამ 22 არ იქნებოდა. ამიტომ ვამბობ, რომ არჩევნები გაყალბდა. არჩევნები გაყალბდა 6 საათის შემდეგ. ეს იყო უმისამართოების ხარჯზე, არარსებული კორპუსები ისევ არსებობს სიებში. 6 საათის შემდეგ რატომღაც ინტენსიური გახდა ამომრჩევლების მოსვლა. ხომ ამოიღეს 2 ათასი ყალბი პირადობის მოწმობა, ხომ შეიძლებოდა ყოფილიყო 20 ათასი?

**— თქვენი აზრით, რისთვის სჭირდებათ ნაციონალებს ეს პროცენტები, რის იმედს აძლევს?**

— პრესტიჟისთვის! თუმცა, ისე რომ თქვათ, სამარცხვინო შედეგი მიიღეს ნაციონალებმა, 42-დან უცებ ჩამოვარდნენ 22-მდე, ხოლო ოცნების პროცენტმა აიწია.

**— ხელისუფლებამ ხომ არ შეუწყო ხელი ნაციონალების მე-2 ადგილზე გასვლას?**

— მოდით, ასე შევხედოთ ხელისუფლების საქციელს. მას აქვს უფლება, შორს იყურებოდეს და სახელმწიფოებრივად მიუდგეს საქმეს. სახელმწიფოს დღეს სჭირდებოდა მშვიდად, ექსცესების გარეშე ჩაევლო არჩევნებს. ამიტომ მათ არ შეუშალეს ხელი არავის. სამაგიეროდ ნაციონალების სამარცხვინო პროცენტი დაფიქსირდა. მართალია, ნაციონალები ყელყელაობენ და ამბობენ, ერთადერთი ოპოზიციური ძალა ჩვენ ვართო, მაგრამ შემირცხვენია ის ძალა, რომელიც 9 წლის მმართველობის შემდეგ მხოლოდ 300 ათას კაცის მხარდაჭერას მიიღებს. ჯერ ერთი, ის 300 ათასიც გაბერილი რიცხვია. ესენი არავითარი ოპოზიცია არ არიან, არამედ მარგინალური ჯგუფია ადამიანებისა, რომლებიც ეპოტინებიან პოლიტიკას. თუკი ქვეყანა ააშენეს, 300 ათას კაცზე მეტი მხარდამჭერი არ უნდა ჰყავდეთ?

ანუ, სახელმწიფოებრივი გადმოსახედიდან მე მესმის ოცნების ქმედების მნიშვნელობა. მაგრამ მეორეს მხრივ, ხალხს არ უნდა ეს მიიღოს და არც მიიღებს! ამიტომ, ჩვენი ვარაუდით, იქნება ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც დაუპირისპირდება ნაციონალებს. აი, ჯიბრზე შეიქმნება პარტია იმისთვის, რომ ადგილობრივ არჩევნებზე ნაციონალებმა მინიმუმის აღებაც ვერ შეძლონ!

**— ეს მისია ნინო ბურჯანაძემ ვერ იტვირთა?**

— ბურჯანაძეს ეს ამბავი არ გამოუვიდა რიგი მიზეზების გამო. მას არ ჰყავდა ის გუნდი, ვინც ამ ფუნქციას იტვირთავდა. მოკლედ, დასახვეწია ჩვენი პოლიტიკური სივრცე. პოლიტიკანობის დრო დამთავრდა. ახლა საქართველოში პოლიტიკის კეთების დროა!

**— ბატონო მამუკა, როგორ ფიქრობთ, უკავშირდება თუ არა არჩევნებს ჟვანიას საქმის გახსნა?**

— როგორც ჩანს, არჩევნებთან დაკავშირებული იყო ჟვანიას საქმის მასალების გამომზეურება. კატეგორიულად იმის მტკიცება, რომ საქმე გახსნილია, არ შეიძლება, რადგან მასალები ხელთ არა გვაქვს, მაგრამ, ჩემი აზრით, გახსნილია. მით უმეტეს იმ გამონათქვამების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რასაც აცხადებენ გოგლა ჟვანია და მისი ოჯახის წევრები. შეიძლება კონკრეტული მოწმეები დაკითხული არ არიან, თუნდაც მიხეილ სააკაშვილი, ამიტომაც არის დამუხრუჭებული გამოძიება. არ ვიცი, ვანო მერაბიშვილმა ამ საქმეზე მისცა თუ არა ჩვენება, მაგრამ, ვიცი, რომ ხელახლა დაიკითხნენ დაცვის წევრები. თუმცა, ამას სულაც არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან ის, დაკვეთა, რაც საზოგადოებამ მისცა ხელისუფლებას 1 ოქტომბრის არჩევნებში სამართლიანობის აღდგენასთან, განსაკუთრებით, გახმაურებული საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებით, უნდა შესრულდეს!

**— თქვენ დარწმუნებით განაცხადეთ, რომ ზურაბ ჟვანია მოკლულია...**

— დიახ, მე მაქვს ინფორმაცია ამერიკული წყაროებიდან, რომ სულ ცოტა, მიხეილ სააკაშვილი იმ შენობაში იმყოფებოდა, სადაც ჟვანია მოკლეს.

**— როდის გაიგეთ ეს ინფორმაცია, მალევე იცოდით, ამის შესახებ?**

— ჩემთვის ძალიან ბევრი რამე იყო ნიშანდობლივი. მაგალითად, იმ დღეებშივე ითქვა, რომ რემონტის გამო იმ სახლში გაზი გამორთული იყო, — ეჭვების მთელი პაკეტი შეიქმნა, რომელზეც პასუხი არ გვქონდა.

ორიოდე თვის წინათ ვმონაწილეობდი ოდესაში ერთ-ერთ კონფერენციაში რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებზე. იქვე მიმდინარეობდა სხვა კონფერენციებიც. ფოიეში გვქონდა არაფორმალური შეხვედრები. ჩვენს კონფერენციაში მონაწილე ერთ-ერთმა ამერიკელმა გამაცნო სხვა კონფერენციაში მონაწილე ამერიკელი, გვარად ბონანო. მან მკითხა, თუ როგორ მიმდინარეობდა პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების საქმის გამოძიება. როცა გავაცანი დეტალები, მითხრა, რომ ის იყო ეფ-ბი-აი-ს ყოფილი წარმომადგენელი, ამჟამად პენსიაში გასული. დაამატა, როგორც ამ საქმეზე მომუშავე ჩემი კოლეგებისგან ვიცი, სულ ცოტა, მიხეილ სააკაშვილი იმ შენობაში იმყოფებოდა, სადაც მოხდა ეს მკვლელობაო. ეს სწორედ მისი ფრაზაა!

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი — რამდენადაც მე ვიცი, დაკითხული არ არის რამდენიმე ადამიანი, მათ შორის, ისინი, ვინც ზურაბ ჟვანია სიკვდილის წინ ნახეს თავის კაბინეტში. არ შემიძლია მათი სახელები და გვარები დავასახელო, მაგრამ მე ვიცი, რომ ზურაბ ჟვანიას ჰქონდა ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა ერთ კონკრეტულ ადამიანთან, რომელიც გამოძიების მასალებში ასახული არ არის.

**— ეს შეხვედრა რამენაირად უკავშირდება ამ საქმეს?**

— პირდაპირ არ უკავშირდება, მაგრამ რადგან ეს შეხვედრა კონტექსტში არ ჩანს, მიჩნდება კითხვა — რატომ?

**— იცით ვინ არის ეს ადამიანი?**

— რა თქმა უნდა, ვიცი. ეს ადამიანი დღემდე დუმს. ეს ბადებს ეჭვს, რომ საქმე ჯეროვნად არ არის შესწავლილი.

**— გოგლა ჟვანიას ესაუბრეთ ეფ-ბი-აი-ს წარმომადგენელთან შეხვედრის შესახებ?**

— გოგლას, ბუნებრივია, ვესაუბრე. ძალიან დაინტერესდა. მერე, როგორც ვიცი, ბონანოს საქართველოდან დაუკავშირდნენ ჟურნალისტები, მაგრამ მას უთქვამს, მე რაც ვთქვი, ვთქვი, მაგრამ ვინაიდან საქმეში პირდაპირ არ ვიყავი ჩარეული, ამ თემაზე მეტი საუბარი აღარ მინდაო.

**— ანუ მას, როგორც მოწმეს, ვეღარ გამოიყენებს პროკურატურა?**

— მაგრამ საქმე ისაა, რომ მას საქართველოდან დაუკავშირდნენ არა ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები, არამედ ჟურნალისტები...

**— ბატონო მამუკა, ჟვანიას მკვლელობის რამდენიმე ვერსია მოვისმინეთ. თითქოს საფერფლე მოხვდა, ითქვა ავარიაში მოყვა სააკაშვილთან ერთად და ა. შ. თქვენ რა ვერსიას განიხილავთ?**

— მე არ შემიძლია ამ ვერსიებზე ლაპარაკი, რადგან ეს არასერიოზული იქნება ჩემი მხრიდან, იქ არ ვყოფილვარ და ზუსტად რა მოხდა, არ ვიცი. გამოძიება მუშაობს მკვლელობის ვერსიაზე, არა შემთხვევითი, არამედ შეგნებული მკვლელობის ვერსიაზე.

**— ანუ ეს მკვლელობა იგეგმებოდა წინასწარ, თვეების, დღეების განმავლობაში, თუ რაღაც სპონტანურად მოხდა?**

— არა, იგრძნობა, რომ სპონტანური მკვლელობაა. ყოველ შემთხვევაში, მე არავითარი მონაცემი არა მაქვს იმისა, რომ ეს მკვლელობა წინასწარ იგეგმებოდა.

**— თქვენ ამბობთ, რომ მიხეილ სააკაშვილს პასუხისგება მოუწევს...**

— მე ვამბობ ასე: მიხეილ სააკაშვილს აუცილებლად მოუწევს სასამართლოს წინაშე წარდგომა. მან უნდა მისცეს ჩვენება თუნდაც იმის გამო, თუ რატომ შეიცვალა ეფ-ბი-აი-ს დასკვნა, რატომ იყო ასეთი მოუქნელი გამოძიების პროცესი, რატომ არ დაინტერესდა ის იმ „თეთრი ლაქებით", რაც ამ საქმეში ჩანდა.

მე ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ როცა ქვეყანაში ასეთი მნიშვნელოვანი და გახმაურებული საქმე ხდება, პასუხისმგებელია პირველი პირი. მიხეილ სააკაშვილი მთელი ამ გამოძიების პროცესში არაადეკვატურად იქცეოდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, როცა ასეთ სიტუაციაში პრემიერი იღუპება, დაცვის წევრების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დამდგარიყო.

**— დაცვის წევრებმა მხოლოდ ჩვენება მისცეს...**

— მისცეს ჩვენება და ცოტა ხანში, დაწინაურდნენ კიდეც. ერთი გამგებლის მოადგილე გახდა, მეორემ — ტენდერში სერიოზული პროექტი მოიგო...

**— ამ ადამიანებმა ხელახლა მისცეს ჩვენება, ხომ არ იცით, რა ვერსიას ჰყვებიან?**

— შინაარსი არ ვიცი, საიდან უნდა ვიცოდე. ამიტომ ვამბობ, რომ სააკაშვილმა ამ ყველაფერზე უნდა გასცეს პასუხი.

**— სააკაშვილი ამბობს, რომ ყველაფერი გამოძიებულია და პრემიერის ცხოვრების მორალურ მხარეზე მიანიშნებს...**

— ის ამით თითქოს იმას უსვამს ხაზს, რომ ზურაბ ჟვანიას გადახრები ჰქონდა, მაგრამ მე ხომ არ ვკითხულობ, ჰქონდა თუ არა ჟვანიას რაიმე ნაკლი, მე კონკრეტულ კითხვებს ვსვამ — სად არის უსუპოვის ცალი ფეხსაცმელი; როგორ მოიწამლნენ გაზით, თუკი არ იყო გაზი? თვითონ რატომ არ გაუჩნდა ეს კითხვები და თუკი არ გაუჩნდა, ე. ი. რაღაცაშია საქმე.

**— გასაგებია, მაგრამ, როცა ასე „მარტივად" ისმის კითხვები, რატომ ვერ გახსნა საქმე ახალმა ხელისუფლებამ, ხელს რა უშლის?**

ჟვანიას საქმეში არის საკითხების გროვა, რომელიც ბუნდოვანებას იწვევს. და არა მარტო ამ საქმეში: ასეა ვაზაგაშვილის, რობაქიძის, გირგვლიანის საქმეებშიც... ეს არის მახინჯი კოჰაბიტაციის, მე-5 კოლონის არსებობისა და პოლიტიკური ნების უქონლობის დემონსტრირება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ჩემი და საზოგადოების სურვილია, რომ პოლიტიკური ნება შედგეს!

ესაუბრა
**თეა მოსია**

**◉ კაკალ გულში**

## წერტილოვანი ფრაზები

**● ბაჩო ახალაიას 3 წელი და ცხრა თვე პატიმრობა, 2 წლით და რამდენიმე თვით მაღალი თანამდებობის დაკავების უ უფლებობა, და 6 000 ლარი ჯარიმა.**

**დამთავრებულა კოჰაბიტაცია...**

**ერთი მასტერკა პლანით რომ დაიჭირონ ვინმე, ნეტა რამდენს მიუსჯიან (ეს კი არაფერ შუაშია, მარა ისე ვიკითხე)?**

**● მოზეიმეებს მინდა ერთი ლექსი შევახსენო:**
**თხას უთხრეს — მგელი მომკვდარა!**
**თხამ ნავარდი ქნა. გაიქცა:**
**— თხაო. ნუ გაგხარებია.**
**განა სამგლეთი დაიქცა.**
**იმას რომ დარჩა ლეკვები.**
**ისინიც მგლურად მაიქცა.**
**გეყურებააათ?**

**● ვსვამ 2 ძალიან მარტივ შეკითხვას:**

**1. ნაცების 22%-იანი მეორე ადგილი „ოცნების" გამარჯვებაა?**

**2. ნაცების 22%-იანი მეორე ადგილი საქართველოს გამარჯვებაა?**

**● ამ ეგზიტპოლურმა ზეიმმა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გამახსენა...**

**● ჩიორამ პოლიტპატიმრებით გამაკვირვებთ?! თქვენ თუ იჯექით მე პოლიტიკურზე ვიწექიო.**

**● სადაც არ გადავრთე ყველგან მეცოცხეები სხედან, მთავარი, ყველაზე დიდი ცოცხის თამადობით. კიდე კაი, რომ კოჰაბიტაცია დამთავრდა . . .**

**● არა რა, დაგლიჯა ნაციონალმა გუბერნატორმა: მე ვერ ვიმუშავებ იმ მთავრობასთან, რომელიც აირჩია ქართველმა ხალხმაო.**

**● ეეე... 18 მაინც აეღოთ ნაცებს.**

**რიკო კრედიტის რეკლამა იქნებოდა, თქვენ ჩვენის 18—იანებო...**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

ერიჰაა!

# ღატაკი ქვეყნის მსუქანი შვილები

## სააკაშვილმა ახალ პრეზიდენტს მხოლოდ 5 ათასი ლარი დაუტოვა!



**„მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდში მხოლოდ 5 ათასი ლარი დატოვა“,** — ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.

მისი თქმით, **პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 10 მილიონი ლარი, რომელიც უნდა დახარჯულიყო მთელი წლის მანძილზე, მთლიანად გახარჯულია. ფაქტობრივად, მომავალ პრეზიდენტს, რომელიც უკვე ავირჩიეთ, სარეზერვო ფონდი აღარ დარჩა.**

ხადურის თქმით, რა თქმა უნდა, **პრეზიდენტს აქვს უფლება, დახარჯოს ეს თანხები, მაგრამ აქ მორალზეა საუბარი. მით უფრო, რომ ქვეყანაში ძალიან ბევრი პრობლემაა, რომელზეც შეეძლო ეს თანხა გამოეყენებინა. თუმცა, რატომღაც საქართველოში ახალი ტენდენციაა — ადამიანი ჯერ მინისტრი ხდება და შემდეგ ცოდნას ეუფლება.**

**ცნობილია, რომ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 1 მილიონ ლარზე მეტი სხვადასხვა პირების საზღვარგარეთ სწავლის დასაფინანსებლად, 366 ათასი ლარი — საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, 365 ათასი ლარი კი ფიზიკური პირების ერთჯერად დახმარებებზე დაიხარჯა.**

**დაფინანსებულთა სიაში არიან პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი დავით ტყეშელაშვილი (სწავლის დასაფინანსებლად 24,592 ლარი მიიღო), პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის თანამშრომელი მერი კოკაია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი ავალიანი (ფინანსური დახმარების სახით მასზე 35 000 ლარია გაცემული), მომღერალ მერაბ სეფაშვილის შვილი ნიკოლოზ სეფაშვილი (სარეზერვო ფონდიდან 80 498 ლარი მიიღო) და სხვები.**

**ამ მონაცემების გასაჯაროების შემდეგ პიანისტმა ბექა გოჩიაშვილმა განაცხადა, რომ მისი და, ასევე, ორი სხვა სტუდენტის ჯულიარდის კონსერვატორიაში სწავლას ბოლო სამი წლის მანძილზე განათლების სამინისტროსთან არსებული „ცოდნის კარი“ აფინანსებდა. თუმცა, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მისთვის უცნობი მიზეზის გამო სამინისტრომ უარი განაცხადა მხოლოდ მისი სწავლის დაფინანსებაზე, რის გამოც იძულებული გახდა, სწავლაზე ხელი აეღო. ამიტომ პრეზიდენტის ადმინისტრაციას დახმარება სთხოვა, რათა სწავლის დამთავრების საშუალება მიეცათ და ამით გადაიხადა ერთი წლის სწავლის საფასური.**

**პოლიტოლოგი ანდრო გაბისონია ქართველ და ჩერქეზ ხალხებს შორის მეგობრობის დამყარების საქმეში პრეზიდენტის ორდენოსანია. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ისიც დააფინანსეს, თუმცა, აცხადებს, რომ მან განაცხადი შეიტანა, რის შემდეგაც იგი სამკურნალო მიზნით დააფინანსეს.**

**რაც შეეხება მერაბ სეფაშვილის ვაჟს, ნიკოლოზ სეფაშვილს, მანამდე იგი პრეზიდენტის რეზიდენციის თანამშრომელი იყო, თუმცა, ამჟამად პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი თანხებით საზღვარგარეთ სწავლობს.**

საინტერესოა, რომ სარეზერვო ფონდებთან დაკავშირებით დღევანდელი კანონმდებლობა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. თუმცა, თავის დროზე კანონი ითვალისწინებდა, რომ სარეზერვო ფონდებიდან თანხები უნდა გახარჯულიყო მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებული სიტუაციებისთვის, სტიქიებისთვის და ა.შ. 2007 წლიდან კი კანონში ცვლილება შევიდა, რომლითაც თანხების ხარჯვის განუსაზღვრელი უფლებამოსილება მიენიჭა პრეზიდენტს და მთავრობას.

**პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისთვის კარგა ხნის მანძილზე დახურული იყო. არასამთავრობოებს ამ თემაზე ინფორმაციის მოპოვება სასამართლოს გზით უწევდათ.**

**მიუხედავად იმისა, სარეზერვო ფონდი არ ნიშნავს, რომ მისთვის გამოყოფილი თანხები აუცილებლად უნდა დაიხარჯოს, საია-ს კვლევის თანახმად, 2010 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ფინანსების უმეტესი ნაწილი (12 890 824 ლარი) კონცერტებს, საახალწლო ღონისძიებებს, მუსიკალურ კლიპებს მოხმარდა, 2011 წელს 8 080 164 ლარი საცურაო აუზების, ბულვარებისა და სტადიონების მშენებლობა-კეთილმოწყობაში დაიხარჯა.**

**თავის დროზე პრეზიდენტის ფონდიდან ფინანსდებოდა ბუბა კიკაბიძის კონცერტები, დეფი გოგიბედაშვილის წიგნების თარგმანები, კონკრეტული ტელეკომპანიების წარმომადგენლების მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯები უცხოეთში.**

**„თავისთვის შვეიცარიულ საათებს და „ტოიოტა ლენდკრუიზერებს“ ხომ არ ყიდულობს?!“** — სწორედ ასე აფასებდა პრეზიდენტის მიერ სარეზერვო თანხების ფლანგვას პოლიტიკური მიმომხილველი მიხეილ თავხელიძე და უკანონოს ვერაფერს ხედავდა, რომ პრეზიდენტი საკუთარი შეხედულებებით ხარჯავდა თანხებს.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარია, რას ნიშნავს, რომ პრეზიდენტმა სარეზერვო ფონდში ცოტა თანხები დატოვა?!

**„აბა, რამდენი უნდა დაეტოვებინა? ეს პრეტენზიები არ მესმის. ფონდი რის საშუალებასაც აძლევდა, ადგა და დახარჯა, ეფექტურად დახარჯა, თუ არაეფექტურად, კონტროლის პალატა რომ არსებობდეს, ამას შეაფასებდა. მის ნაცვლად რაღაც სულელური ორგანიზაცია არსებობს, რომელმაც ეს უნდა შეაფასოს. მე თვითონ კონტროლის პალატაში ვმუშაობდი და შესანიშნავად ვიცი, ბიუჯეტის თანხები როგორ უნდა შევაფასო, მაგრამ არ ვიცი, სად დახარჯა სააკაშვილმა ფული. თუ დანაშაული ჩაიდინა, დაიჭირონ და გაასამართლონ. ფონდი კი არა, ქვეყანა მიიყვანა უკიდურეს მდგომარეობამდე. სააკაშვილს ცუდი უფლებები ჰქონდა და, შესაბამისად, ისიც ცუდად აკეთებდა ამას“,** — აცხადებს დემურ გიორხელიძე.

ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ **პოლიტიკურ აგონიაში მყოფ პრეზიდენტზე ზედმეტია საუბარი, რადგან თავიდანვე, როცა ის ჯანზე იყო, ერთმანეთისგან მაშინაც ვერ ასხვავებდა სახელმწიფოსა და საკუთარ ჯიბეს.**

**„სახელმწიფო ეს მე ვარ“, — ასე გაატარა სააკაშვილმა ცხრა წელიწადი. მისგან გასაკვირი სულაც არ იყო, რაც მან მოიმოქმედა სარეზერვო ფონდთან დაკავშირებით. შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, იმ 5 ათასსაც ჩაფერფლიდა. ამიტომ იგი მავნებლობაშიც აქტიური იქნება. ეტყობა, საკუთარი ნამოქმედარი წარმოიდგინა, როდესაც იძახდა, ამ მთავრობას ჯოჯოხეთი ელისო. როგორც ჩანს, საკუთარი თავის რეინკარნაციის პერსპექტივა აქვს გონებაში დაბუდებული და უნდა ვუთანაგრძნოთ ამ ადამიანს, რომ დადგა ჟამი, როცა ასეთი ენთუზიაზმით არჩეული პრეზიდენტი არანაკლები ენთუზიაზმით არის გაძევებული პოლიტიკური სივრციდან“,** — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

მისი თქმით, სანამ სარეზერვო ფონდი შეივსება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბატონი ან ქალბატონი ახალი პრეზიდენტი ხელმოცარული დარჩება. სააკაშვილს არაერთხელ დაუნახებია თავისი სახე საზოგადოებისთვის და სარეზერვო ფონდის თანხების ფლანგვაც უკანასკნელი შტრიხებია მისი პორტრეტისთვის, რომლებიც, მართალია, ლუვრის ან პრადოს მუზეუმებში არ გამოიფინება, მაგრამ ქართველი ხალხის მეხსიერებში დარჩება.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში პაატა შეშელიძე აცხადებს, რომ არსებობს ფონდის წესდება და ამ წესდებაში გაწერილი უნდა იყოს, თუ რაში დაიხარჯება თანხები.

**„უნდა იყოს რეგლამენტირებული შერჩევის წესი, ასევე, გადაწყვეტილების მიღების წესი, რომლითაც განისაზღვრება, ხომ არ იყო მიკერძოება და იმსახურებდა თუ არა ცალკეული ადამიანი ამ თანხის მიღებას,** — აცხადებს პაატა შეშელიძე.

**მანანა ნოზაძე**

უმაღლესი სკოლა

# უნივერსიტეტებში სახელმძღვანელოების დეფიციტია!

**ქართველ სტუდენტებს სასწავლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით დიდი პრობლემა აქვთ. უნივერსიტეტების სტუდენტები ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის ნაკლებობაზე უკმაყოფილებას გამოთქვამენ და ამბობენ, რომ სასწავლო დაწესებულებები მათ შესაბამისი ლიტერატურით ვერ ამარაგებენ, რის გამოც სწავლის პროცესი ფერხდება.**

უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებშიც კი ამა თუ იმ წიგნის თითო ეგზემპლარი ინახება. ამიტომაც საგნის მოსამზადებლად სტუდენტებს რიგში დგომა და ცდა უწევთ. არასაკმარისი ლიტერატურის გამო, სწავლის ხარისხი ეცემა, პრობლემის მოგვარებას კი სტუდენტები განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტებისგან ითხოვენ.

თსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის სტუდენტი, წიგნების სიმცირის გამო იძულებულია სხვა ბიბლიოთეკით ისარგებლოს. ყველა უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს სახელმძღვანელოების იმ რაოდენობას, რაც სტუდენტისთვის არის საჭირო. ნაწილი არსებული პირობებითაც უკმაყოფილოა.

**„წიგნის დეფიციტია სასწავლებელში და მის ბიბლიოთეკაშიც. ზოგჯერ მათ მხოლოდ თითო ეგზემპლარი გააჩნიათ. ასეთ დროს სტუდენტებს შესაძლებლობა გვაქვს გამოვიყენოთ მხოლოდ სამკითხველო დარბაზი ან ჩვენთვის საჭირო ადგილები გადავაქსეროქსოთ. ზოგჯერ, მე და ჩემი ჯგუფელები მთელ წიგნს ვიღებთ იმისათვის, რათა ყოველდღე ქსეროქსის აპარატთან არ ვიდგეთ. საკითხს ართულებს ის ფაქტიც, რომ ბიბლიოთეკიდან სახელმძღვანელოს გამოტანის უფლება არ გვაქვს.**

**თუ მაღლივის და ილიას უნივერსიტეტებში ეს ხერხდება, რატომ არ შეიძლება იგივე პირობებით ვისარგებლოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მყოფმა სტუდენტებმაც. პრობლემის მოსაგვარებლად გამოინახა ალტერნატიული გზები. გაკეთდა ელექტრონული ბიბლიოთეკა. მაგალითად, ძველი ქართულის, პალეოგრაფიისა და ქართული სალიტერატურო ენის საგნები ასე გავიარე. ეს, რა თქმა უნდა, ამარტივებს სწავლის პროცესს“,** — ამბობს სტუდენტი გიორგი თოფჩიშვილი.

სახლმძღვანელოებთან დაკავშირებულ პრობლემას სახელმწიფო უმაღლესებშიც ადასტურებენ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში კი აცხადებენ, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. სასწავლო წიგნების დეფიციტის შესახებ დიდი ხანია იციან თსუ-ს ადმინისტრაციაში. მათი განმარტებით, ამჟამად საკითხის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა ღონისძიებები მიმდინარეობს.

წლეულს წიგნების სიმცირის აღმოსაფხვრელად დამატებითი ფულადი სახსრები გამოიყო. გაიზარდა ხარჯი სახელმძღვანელოს თარგმანზე, წიგნების შეძენაზე 127 000 ლარზე მეტია გამოყოფილი, გამომცემლობისა და სასტამბო ხარჯების მოცულობა კი 259 000 ლარს აღწევს.

თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ პრობლემა ყველაზე მეტად ეკონომიკისა და ბიზნესის, ასევე სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზეა.

**„პრობლემის სრულად მოგვარება შეუძლებელია, რადგან სახელმძღვანელოები მუდმივად ახლდება და მათი თარგმნა თუ გამოცემა პერმანენტულად მიმდინარეობს. სახელმძღვანელოების თარგმნა-გამოცემაზე ყველაზე მეტი მოთხოვნა, როგორც წესი, ეკონომიკისა და ბიზნესისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზეა. სწორედ ამ ფაკულტეტების სახელმძღვანელოებია მუდმივად განახლებადი, რადგან სხვა ფუნდამენტური მეცნიერებებისგან განსხვავებით, სწორედ ამ მიმართულების მეცნიერებების შესწავლა თანამედროვე ლიტერატურით ხელმძღვანელობას მოითხოვს.**

**მაგალითად, წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისთვის სახელმძღვანელოების შესაძენად 40 ათასი ლარია გამოყოფილი, ხოლო სათარგმნად - 100 ათასი ლარი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის სახელმძღვანელოების შესაძენად გათვალისწინებულია 11 ათასი ლარი, ხოლო თარგმნისთვის — 126 ათასი ლარი“,** — აცხადებენ თსუ-ში.

როგორც გაირკვა, წიგნების შეზღუდული რაოდენობა, მარტო თსუ-ს სტუდენტებს არ აწუხებთ. ეს საკითხი დგას შოთა რუსთაველი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას უნივერსიტეტში, ტექნიკურ უნივერსიტეტში და ა. შ.

**ამ საკითხზე ახლახან ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებმა ჩაატარეს გამოკითხვა, დამაკმაყოფილებელი იყო თუ არა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნთა ფონდი. მცირე კვლევას ხელმძღვანელობდა სტუდენტური ასოციაცია „პროგრესი“ და საინიციატივო ჯგუფი. სულ 900-მდე სტუდენტის პოზიცია აღირიცხა. შედეგები ასე გადანაწილდა — 57% მიიჩნევს, რომ ბიბლიოთეკაში წიგნების რაოდენობა არასაკმარისია, 34% —ამ აზრს არ იზიარებს.**

**გიორგი ბექაური**

# ახალი ცხოვრება იწყება...

**საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ ბევრი ითქვა და დაიწერა, ამდენად, არ ღირს მასზე ყურადღების გამახვილება, მით უმეტეს, როდესაც პრეზიდენტის უფლებამოსილება შორს არის იმისგან, რითაც წინა პრეზიდენტები იყვნენ აღჭურვილნი და რასაც საქართველოს მოსახლეობა იყო შეჩვეული დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე.**

საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფალთა შორის ფუნქციების განაწილება და, რაც მთავარია, მათი დემონსტრირება დაგვანახებს, რა დოზის დემოკრატიულ მშენებლობასთან გვაქვს საქმე.

შეძლებენ პრეზიდენტი, პრემიერი, სპიკერი ან უფრო სწორად, თანამდებობიდან გამომდინარე — პრემიერი, პრეზიდენტი და სპიკერი ან კიდევ უფრო სწორად - პრემიერი და სპიკერ-პრეზიდენტი (ერთ რანგში) ვიწროუწყებრივი ინტერესებისგან თავის შეკავებას?

ამ ეტაპზე ამის დადგენა ძნელია. ყოველივე, პრაქტიკული ცხოვრებიდან გამოჩნდება. ახალი პრეზიდენტი, ახალი პრემიერი და ერთწლიანი გამოცდილების მქონე სპიკერი, როგორ შეეგუებიან ერთმანეთს ან შეეგუებიან თუ არა საერთოდ, მომავალი გვიჩვენებს. ავტორიტეტის თვალსაზრისით, სასტარტო პერიოდში, სამივენი ნამდვილად ვერ იკაშკაშებენ. მათ მუყაითი შრომით უნდა მოიპოვონ ავტორიტეტი.

**საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ახალ ფაზაში შედის, რასაც კარგა ხნის განმავლობაში თან გაჰყვება საზოგადოების ეჭვიანი განწყობა პოლიტიკასა და სახელმწიფო მართვის საქმეში გამოუცდელი ხელმძღვანელების მიმართ. ჩატარებული ექსპერიმენტი, ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით წელგამართული ქვეყნისთვისაც უსერიოზულესი გამოწვევა იქნებოდა, არათუ სუსტი, დაბეჩაებული ქვეყნისთვის.**

23-წლიანმა „დამოუკიდებლობამ“ უამრავი არასახარბიელო მომენტი გააჩინა, რომელმაც ნეგატიურად იმოქმედა ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე. დამოუკიდებელი ცხოვრების უცოდინრობამ, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის შესაფერისი კადრების დეფიციტმა, სახელმწიფო სტრუქტურებში, არასამთავრობო სექტორში (სახელმწიფო სტრუქტურების კადრების სამჭედლოში) მომუშავე მუშაკთა დაბალმა პროფესიონალიზმმა, სხვათა ცხოვრებისადმი ზედაპირულმა მიბაძვამ, საკუთარ წარსულ გამოცდილებაზე უარის თქმამ, ქვეყანა ჩიხში შეიყვანა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ნაკლებად მოიძებნება ქვეყანა, რომელმაც ესოდენ დიდი დანაკლისი განიცადა. დანაკლისი ტერიტორიული თვალსაზრისით, დანაკლისი ადამიანური რესურსის თვალსაზრისით (მილიონზე მეტმა საქართველოს მოქალაქემ ლუკმაპურის საშოვნად უცხო ქვეყნებს მიაშურა) და, რაც მთავარია, დანაკლისი მორალური თვალსაზრისით.

თითქმის ყველა დარგში განცდილმა მარცხმა, მოსახლეობაში არასრულყოფილების გრძნობა გააჩინა. ამან განსაკუთრებით იჩინა თავი სააკაშვილის თითქმის ათწლიანი ბატონობის ჟამს.

**წინა წლებში მიღებულმა მძიმე ფიზიკურ-სულიერმა ტრავმებმა მოდრიკა ერთ დროს ამაყი საზოგადოება, რომელიც ჯეროვნად ველარ შეებრძოლა ახლადგაჩენილ ჭირს — სააკაშვილ-ნაცების სახით და მიუხედავად შინაგანი ნეგატიური განწყობისა მის მიმართ, თავი ჩაღუნა - ჩათრევას, ჩაყოლა ამჯობინა. მისთვის ძნელი გამოდგა, როგორც საკუთარ ჭირთან, სააკაშვილ-ნაცთა სახით, ისე გარე ჭირთან შერკინება. მით უმეტეს, როდესაც გარე ჭირს ხელში მახვილის ნაცვლად „კანფეტი“ეჭირა.**

უცხოური ცხოვრებისგან შორს მდგომმა საზოგადოებამ, რატომღაც მიიჩნია, რომ მომღიმარი დასავლეთი მხოლოდ სიკეთის მომტანია. უცხოურ ორმაგ სტანდარტებში გაუთვითცნობიერებელმა ხალხმა, ოკეანისგადაღმელის სახეზე აღბეჭდილი ღიმილი ბუნებრივად მიიჩნია. ის ვერ მიხვდა, როდესაც დასავლელი ღიმილით ამბობს — მობრძანდით თქვენთვის (ნატოს) კარი ღიაა, სინამდვილეში ღია კი არა, ჩარაზულია.

ის ვერ მიხვდა, რომ, როდესაც დასავლელი გეუბნება თქვენს საშინაო ცხოვრებაში ჩარევის უფლება არ გვაქვს, სინამდვილეში არა თუ ერევა, არამედ თვით მართავს სიტუაციას.

**ვერ მიხვდა, რომ საკუთარი ხელისუფლება ნამდვილი კი არა, სუროგატია, რომ ქვეყნის პირველ პირთან ერთად ქვეყანას აშშ-ს ელჩი მართავს, ხშირად არათუ ერთად, ერთპიროვნულად. ვერ მიხვდა, რომ დამოუკიდებლად არსებობის გზა სხვაზე, ამ შემთხვევაში აშშ-ზე გადის. ვერ მიხვდა, რომ სამოცდაათწლიანი დამოკიდებულების შემცვლელი დამოუკიდებლობა, ისეთივეა, როგორც 70-წლიანი, ოღონდ ოდნავი სახეცვლილებით.**

დიახ! ასე ეგონა და ჰგონია საზოგადოებას, მაგრამ ვინ არის დამნაშავე ამაში? ფართო გაგებით - ყველა ჩვენგანი, რომელმაც ვერა და ვერ ვისწავლეთ პოლიტიკური აზროვნება, ალღო ვერ ავუღეთ საერთაშორისო ცხოვრებას, ვერ გავარჩიეთ შავი თეთრისგან ან პირიქით, დღენიადაგ ვერ ვიკითხეთ ჟურნალი „ტაიმი“, გაზეთები „ნიუ-იორკ ტაიმსი“, „ვაშინგტონ პოსტი“, ბრიტანული თუ რუსული პრესა, ვერ ჩავუჯექით „სი-ენ-ენს“, „ბი-ბი-სის“, „როსია-24“, „ევრონიუსს“, სხვა ტელეკომპანიებს, პერიოდულ გამოცემებს.

ვერ ჩავუჯექით, ვინაიდან არც ამის დრო გვქონდა და არც განწყობა. როდესაც ენაგადმოგდებული დადიხარ საკუთარი და უცხო ქვეყნების ქუჩებში ლუკმაპურის საშოვნად, თვითგანვითარებისთვის დრო აღარ გრჩება. ეს საკითხი ჩვენ თქვენ მოგანდეთ, პოლიტიკოსებო, საზოგადო მოღვაწეებო, ექსპერტებო, ვიგულისხმეთ რა შრომის განაწილების საუკუნებრივი წესი — მეწაღე რომ წაღებს კერავს, მეპურე რომ პურს აცხობს, პოლიტიკოსი რომ ხალხს, ქვეყანას უძღვება — უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად.

საზოგადოება ვერც იფიქრებდა, რომ პოლიტიკოსი მხოლოდ იმიტომაა ამ პროფესიისა, რომ პირადი ცხოვრება მოიწყოს, მრავალი ათეული წლით უზრუნველყოს საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა საზოგადოების ხარჯზე.

საზოგადოება ვერ წარმოიდგენდა, რომ მისგან გათამამებული, მისგან არჩეული, მასვე შემოუბრუნდებოდა — დაცინვით, ლანძღვით, შეურაცხყოფით.

**ქართველი ერი ვერ აღწევს ზრდასრული ინტელექტის საფეხურს, გონებრივი განვითარების ეტაპს და ბავშვის ასაკის დონეზე დარჩენილი, მისი ცნობიერება არ არის იმ სიმაღლეზე, რომელზეც ხდება პიროვნების სრული გამთლიანება, ამიტომაც აშენებს ისეთ სახელმწიფოს, როგორსაც ბავშვები აგებენ თამაშის დროს. მოკლედ ის „პამპულობას“ თამაშობს.**

**...„ქართველი გამოიყურება ემოციურად, იმპულსურად, მაგრამ სინამდვილეში არის ინფანტილური, რადგანაც მას რაციონალური აზროვნების სუსტი საფუძველი აქვს“,** — წერს პატივცემული მარგველაშვილი თავის ფილოსოფიურ ტრაქტატში.

## რას ნიშნავს ერის რაციონალური აზროვნება მარგველაშვილისეული ინტერპრეტაციით?



ნეტავ რას ნიშნავს ერის რაციონალური აზროვნება მარგველაშვილისეული ინტერპრეტაციით? შეძლებს ამ ფილოსოფიური აზროვნების მატარებელი პრეზიდენტი ქვეყნის მართვაში ან უფრო სწორად ქვეყნის „აღზრდაში“ ისეთი წვლილის შეტანას, რაც ნამდვილად წაადგება ქვეყანას? ხომ არ იქნება მისი „სასიკეთო ზრახვანი“ ერის გაკეთილშობილებისთვის, ისეთივე „სასარგებლო“, როგორც სააკაშვილ-ბოკერია-ჭიაბერაშვილ-ადეიშვილ-მერაბიშვილის და მათ მსგავსთა სადარი?

როგორც ჩანს, მარგველაშვილის ფილოსოფიური მოსაზრებები, არაერთხელ შეჯერებულ-გავარჯიშებული ფილოსოფიით შეპყრობილ ივანიშვილთან — ქართველი ერის რაციონალური აზროვნების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, რაც საშური საქმეა. მაგრამ მიიღებს კი საზოგადოება დაძალებულ რაციონალიზმს, ანუ ისეთს, დასავლეთში რომ არის?

შესაძლოა, 20 წელი მცირე დროა ერის სრული გადაგვარებისთვის, ანუ ისეთად გახდომისთვის, როგორებიც აშში ან სხვა ქვეყნებში დიდი ხნით მცხოვრები ქართველებია. განსაკუთრებით მეორე, მესამე თაობა — იშვიათად, მხოლოდ გვარიღა რომ აქვთ შემორჩენილი. ნაცურმა ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა ასეთთა რაოდენობის გასაზრდელად.

გლობალიზაციის ეპოქაში მსგავსი, ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ დამღუპველია პატარა და ჯერაც ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერისთვის. ჩამოყალიბებას კი დრო, შესაბამისი გარემო და, რაც მთავარია, ეროვნულ ნიადაგზე მდგარი განმანათლებლები ესაჭიროება — განსწავლული ექსპერტები, რომლებმაც კარგად იციან ქვეყნის შიდა ცხოვრება და ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესები...

არის თუ არა საჭირო „გარაციონალება“? ყველას გარაციონალება ხომ უინტერესოს გახდის მსოფლიოს? ინტერესი ხომ მრავალფეროვნებაშია და არა ერთფეროვნებაში?!

პოლიტიკაშიც ხომ ასეა — ერთპარტიულობას, მრავალპარტიულობას ამჯობინებენ, თუმცა, აქაც განსხვავება არსებობს, ერთპარტიული ჩინეთის სახით. ამ ქვეყანამ ერთი მმართველი პარტიით სასწაულებს მიაღწია.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა უინტერესო იქნებოდა ცხოვრება ირანში, ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, რუსეთში, თურქეთში, სხვაგან და სხვაგან ამერიკული ცხოვრება რომ ყოფილიყო?

სხვისი ცხოვრების გადმოღებას გადაყვა საქართველო, განსაკუთრებით ბოლო წლებში. რა ქვეყნად გადაკეთებას არ გვპირდებოდნენ ჩვენი „პატივცემული“ წინამძღოლები — ხან ამერიკად, ხან ბელგიად, ხან სინგაპურად, ხან დუბაიდ, ხან კიდევ რად. არც ერთს არ დასცდენია — წარმატებულ, თვითმყოფად საქართველოდ გარდავიქმნათო!

მარგველაშვილის ფილოსოფიურ ტრაქტატში თვალის ჩაჭყეტისთვის მადლობა ელიზბარ ჯაველიძეს, რომელმაც ფართო სტატია მიუძღვნა ნაშრომს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“. რომ არა ის, ვინ მიაქცევდა ყურადღებას ფილოსოფოსის ნაცოდვილარს?

თუმცა, არ მგონია პატივცემულ ბიძინას ყურადღება არ მიექცია ესოდენ „ღრმა“ აზროვნებისთვის. მიაქცია და იმიტომაც შეუწყო ხელი მის გაპრეზიდენტებას, ჩათვალა რა, რომ „ზრდადაუსრულებელ“ ერს სწორედ ასეთი აღმზრდელი ესაჭიროება. ოღონდ ერთი რამ არის საეჭვო - შეძლებს ბიძინას რჩეული უბედური ქვეყნის „გარაციონალებას“ — პრეზიდენტობის ხანმოკლე ვადაში?

და კიდევ ერთი რამ, მარგველაშვილი ქვეყნის გაუბედურებაში ლოთ მამასაც დებს ბრალს, ანუ რუსეთს.

რუსეთის ლოთობის თემა არახალია თანამედროვე ქართულ „მეცნიერებაში“. მარტო „ღრმადგანსწავლული ისტორიკოსის“ სვიმონ მასხარაშვილის კვლევები რად ღირს. მამა ლოთი, დედა გადაგვარებული, ერი, გონებრივად ჩლუნგი... შეიძლება ასეთის აღზრდა-გარაციონალება? მარგველაშვილის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, შეიძლება, სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა პრეზიდენტობა. ბოლოს და ბოლოს, თუ არ გამოუვა, საკუთარ შესაძლებლობებს (ფილოსოფიურს) ხომ მოსინჯავს?

შევარდნაძიდან დაწყებული ეს ქვეყანა ექსპერიმენტების პოლიგონია.

ისე, კაცმა რომ თქვას, ღვინის სამშობლოდ აღიარებულ ქვეყანას რა უნდა ჰქონდეს ლოთი მეზობლისგან სასწავლი? ისტორიის მიხედვით, ღვინის დაყენებაც და სმაც აქ მრავალი საუკუნით ადრე დაიწყო, ვიდრე რუსეთში.

**„არსად იმდენს არ სვამენ, რამდენსაც რუსეთში“,** — წერს საქვეყნოდ ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა და თან ამატებს — **„თუ საქართველო არ მივიღეთ მხედველობაში. საინტერესო იქნებოდა რუს და ქართველ ღვინისმსმელთა შეჯიბრება. შემიძლია, სანაძლეო დავდო, რომ დალეულ ბოთლთა რიცხვი თითო ადამიანზე თორმეტამდე ავა, მაგრამ წინასწარ ვერ ვიკისრებ იმის თქმას, თუ ვის დარჩება გამარჯვება“.**

სწორედ „ლოთი“ მამის წყალობით ქართული ინტელიგენცია ეზიარა რუსულ და ევროპულ კულტურას. პეტერბურგსა და სხვა რუსულ ქალაქებში სწავლას ნაზიარებმა ქართველობამ ხელი შეუწყო მთელი ერის განათლებას. „ლოთ“ ერს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ექვსი ლაურეატი ჰყავს.

რომ არა რუსეთის თანმიმდევრული პოლიტიკა იმჟამინდელ ჩრდილო კავკასიაში, არავინ იცის, რა ბედი ეწეოდა ამიერკავკასიას, კერძოდ საქართველოს ჩრდილოელთა გაუთავებელი შემოსევებით, გამოსასყიდის მიღების მიზნით, ლეკიანობით, ქართველთა გატაცებებით და სხვა.

**„უნდა გამოვტყდე, როცა თბილისში მოვდიოდი, მეგონა ვნახავდი ნახევრად ველურ ქალაქს, რაღაც ბაქოსა და ნუხის მსგავსს, მაგრამ უფრო დიდს, თუმცა, ვცდებოდი. ფრანგული კოლონიის წყალობით, რომელიც უმთავრესად პარიზული მკერავებისა და მოდისტკებისგან შედგება, ქართველ მანდილოსნებს შეუძლიათ იტალიური თეატრისა და განდის ბულვარის მოდას მისდიონ, მხოლოდ ორი კვირის დაგვიანებით.**

**ამჟამად, თბილისში 75000 მცხოვრებია. მას აქვს სამოცი ფუტის სიგანის ქუჩები, სასახლეები, ქარვასლეები, ბაზრები, თეატრი და ეკლესია, რომლებიც თავადი გაგარინის წყალობით ხელოვნების შედევრებს წარმოადგენენ. უნდა ითქვას, რომ, რაც თბილისი რუსეთის მფარველობის ქვეშ მოხვდა და დაცულია სპარსელებისა და თურქების შემოსევებისგან, სამმა პიროვნებამ, განსაკუთრებით ბევრი გააკეთა მის საკეთილდღეოდ — გენერალმა ერმოლოვმა, გრაფმა ვორონცოვმა და თავადმა ბარატინსკიმ“,** — წერს დიუმა.

წარსულის გახსენების დროს ცუდთან ერთად კარგიც არ უნდა დავივიწყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში უმადურობაში დაგვდებენ ბრალს. უმადურობა კი მძიმე, განუკურნელი სენია.

იმავე გაზეთში პოლიტოლოგი გულბათ რცხილაძე დაბეჯითებით მოუწოდებდა პრეზიდენტობის კანდიდატებს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენით. და მართლაც წარმოუდგენელია ორ ქვეყანას შორის დამოკიდებულების აღდგენა-გამოსწორება მარტო ღვინით, მწვანილით და მინერალური წყლით.

პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმაა საჭირო, რომელიც უდავოდ წაადგება ეკონომიკასა და კულტურულ ცხოვრებას. სამწუხაროდ, ეს მოსაზრება არავინ გაიზიარა. რა იქნება მომავალში, ძნელი სამარჩიელოა, მაგრამ, როდესაც პოლიტიკოსს ღრმად აქვს თავში ჩადებული რუსეთის „ლოთობა“, საქმეს ნამდვილად არ ეშველება.



**საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში ახალი ცხოვრება იწყება, ახალი ექსპერიმენტით. თუ რას მოგვიტანს ის, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია მოთმინებით დაველოდოთ შედეგებს, ისე, როგორც ამას ვაკეთებდით წინა ექსპერიმენტების დროს.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



# რა და როგორ უნდა გადავიხადოთ მიწის საკუთრებისთვის?

**საქართველოში უცხო ქვეყნების მოქალაქეებისა და საზღვარგარეთ რეგისტრირებული ფირმებისთვის მიწების მიყიდვაზე მორატორიუმი ძალაში წლეულს 10 ივლისიდან შევიდა და 2014 წლის 31 იანვრამდე იმოქმედებს. თუმცა, თავდაპირველი პროექტით მას 2017წლამდე უნდა ემოქმედა. კანონის თანახმად, ქვეყნის მთავრობამ ექვსი თვის ვადაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებით ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს, რომლის მიზანი მიწის რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება იქნება. ამავე ვადაში მთავრობამ ქვეყნის მასშტაბით მიწის კადასტრისა და მიწათსარგებლობის ერთიანი სისტემა უნდა შექმნას.**

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის საწარმოებლად გამოსაყენებელი მიწაა. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა არა მხოლოდ მიწის ის ნაწილი, რომელზეც მცენარეებია გაშენებული, ან მეცხოველეობის მიზნებით გამოიყენება, არამედ მისი ის ნაწილიც, რომელზეც საცხოვრებელი შენობები, სამეურნეო თუ დამხმარე ნაგებობებია განთავსებული. მიწის მიზნობრივი დანიშნულება საჯარო რეესტრში რეგისტრირდება, სადაც მისი დანიშნულება საგანგებოდ დგინდება.

ამასთან, საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში, ქონების გადასახადი კანონმდებლობითაა განსაზღვრული, რაც, ცხადია, სასოფლო თუ არასასოფლო დანიშნულების მიწებსაც ეხება. ბუნებრივია, რომ ეს, როგორც რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ პირებს ეხება და ეს საკითხი ყველას ერთიანად აინტერესებს. ზოგადი განმარტების სახით აღვნიშნავთ, რომ **„რეზიდენტად" ის პირი ითვლება, რომელიც ქვეყანაში 183 დღეს მაინც ცხოვრობს,** თუმცა კი ამ საკითხს, როგორც ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახურის მომსახურების დეპარტამენტში განგვიმარტეს, მრავალი ნიუანსი ახლავს, ამდენად, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კაცმა თავად უნდა დაადგინოს თავისი სტატუსი საგადასახადო ორგანოში.

ქონების გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით მრავალი გარემოებაა, რომელთა გარკვევა ჩვენს მკითხველებს აინტერესებს, ამდენად, საკითხის გასარკვევად აღნიშნულ სამსახურს რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ და მათზე ამომწურავი პასუხიც მივიღეთ, რისთვისაც მადლობას ვუხდით მის ხელმძღვანელს ქალბატონ **ნანა მუმლაძეს**.

### ვინ არის ქონების გადასახადის გადამხდელი?

ქონების გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ დასაბეგრ ქონებას ფლობენ:

- საკუთრებაში არსებულ ქონებას, მათ შორის დაუმთავრებელ მშენებლობას, შენობა-ნაგებობებს (ან მათ ნაწილს), იახტებს (კატარღებს), ვერტმფრენებს, თვითმფრინავებს;
- არარეზიდენტისგან ლიზინგით მიღებულ ქონებას; ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში — მის ბალანსზე ძირითად საშუალებებად აღრიცხულ აქტივებს, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებსა და არამატერიალურ აქტივებს, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებას.

ფიზიკური პირისთვის მიწაზე ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტებია საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით: **ა) მის საკუთრებაში არსებული მიწა, ასევე გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებული მიწა, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს; ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომლითაც სარგებლობს, ან რომელსაც ფლობს.**

### რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ფიზიკური პირი გადასახადის გადამხდელი?

ფიზიკური პირი (მათ შორის მეწარმე ფიზიკური პირი) ქონების გადასახადის გადამხდელია:

- **თუ საქართველოს ტერიტორიაზე დასაბეგრი ქონების მფლობელია და მისი ოჯახის წინა წლის შემოსავალი 40 ათას ლარს აღემატება;**
- თუ მას საქართველოს ტერიტორიაზე საკუთრებაში აქვს სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომელიც ქონების გადასახადის გადახდისგან არ არის გათავისუფლებული.

### ფიზიკური პირის ქონების გადამხდელად ოჯახის რომელი წევრები იგულისხმებიან?

ფიზიკური პირის ოჯახის წევრებში იგულისხმება თავად პირი, მისი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი. აგრეთვე, პირთან მუდმივად მცხოვრები მშობელი, და-ძმა, პაპა და ბებია, შვილიშვილი, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან. გადასახადის გადამხდელი თავად უპირობოდ განსაზღვრავს ზემოაღნიშნულთაგან იმ პირთა წრეს, რომლებიც მასთან ერთად მუდმივად ცხოვრობენ და საერთო მეურნეობას ეწევიან.

**ინფორმაცია თემაში**

**უცხოელებისთვის მიწის გაყიდვის მორატორიუმი არ ეხება ასეთების ფლობაში უკვე არსებულ მიწებს. არაოფიციალური მონაცემებით, სადღეისოდ უცხო ქვეყნების იურიდიული და ფიზიკური პირების მფლობელობაშია დაახლოებით 30 ათასი ჰექტარი მიწა, რაც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების 4 პროცენტს შეადგენს.**

### როგორ განისაზღვრება ქონების გადასახადი?

საგადასახადო კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ქონების გადასახადს ადმინისტრაციული ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთით შემოიღებს.

### რა სახის შემოსავალი უნდა შეიტანოს ფიზიკური პირის ოჯახმა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის მიხედვით ქონების გადასახადის დაკლარირების დროს?

რეზიდენტი ფიზიკური პირის ოჯახმა საგადასახადო წლის შედეგად მიღებულ შემოსავალში უნდა შეიტანოს ყველა შემოსავალი, მათ შორის სარგებელი საგადასახადო შეღავათების გაუთვალისწინებლად, კერძოდ:

**ა) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დასაბერგი შემოსავალი; მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირისთვის — ეკონომიკური საქმიანობით მიღებული, სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული დასაბეგრი შემოსავლის მხოლოდ 25 პროცენტი, ხოლო სხვა დასაბეგრი შემოსავალი —სრული ოდენობით;**

**ბ) ნებისმიერი შემოსავალი, მათ შორის სარგებელი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;**

**გ) დარიცხული ხელფასი.**

არარეზიდენტი ფიზიკური პირის შემოსავალი განისაზღვრება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლის მიხედვით.

### ფიზიკურმა პირმა რა ვადაში უნდა წარადგინოს ქონების გადასახადის დეკლარაცია?

ფიზიკური პირი ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არაუგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა. დეკლარაციაში შეტანილია გასული საგადასახადო წლის დასაბეგრი ქონების მონაცემები, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ — მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.

### ფიზიკურმა პირმა რა ვადაში უნდა გადაიხადოს ქონების გადასახადი?

ფიზიკური პირი ქონების გადასახადს იხდის არაუგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა.

### როგორ გაიანგარიშება ფიზიკური პირის ქონების გადასახადი და ვინ განსაზღვრავს მას?

საგადასახადო ორგანო გამოიანგარიშებს ფიზიკური პირის ქონების გადასახადს წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე. დეკლარაციაში უნდა იყოს შეტანილი დასაბეგრი ქონების ღირებულება და მიწის ფართობი.

### ვინ უნდა წარადგინოს დეკლარაცია, როცა დასაბეგრი ქონების მესაკუთრე ოჯახის სხვა წევრებიც არიან?

თუ ოჯახის ორ ან ორზე მეტ წევრს აქვს დასაბეგრი ქონება, მათგან ნებისმიერ სრულწლოვან ფიზიკურ პირს აქვს უფლება წარადგინოს ქონების გადასახადის ერთიანი (საოჯახო) წლიური დეკლარაცია, რომელშიც აისახება ამ პირის, ასევე ოჯახის სხვა წევრების დაბეგვრის ობიექტები.

### რა შეღავათებით სარგებლობენ ფიზიკური პირები ქონების გადასახადთან მიმართებაში?

ქონების, გარდა მიწისა, გადასახადისგან გათავისუფლებულია:

- ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება, თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი არ აღემატება 40 ათას ლარს;

მიწაზე ქონების გადასახადისგან ასევე გათავისუფლებულია:

- **მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული მიწის ნაკვეთი;**
- **თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მდებარე საცხოვრებელ სახლებზე ანდა ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი ფართობის ზღვრული ოდენობის ფარგლებში;**
- **2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.**

**შენიშვნა:** აღნიშნული შეღავათი ვრცელდება კომლის წევრის ან პირველი-მეორე რიგის მემკვიდრის მიერ აღნიშნული ქონების ჩუქებით-მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაშიც. ამასთან, საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი ითვალისწინებს გადასახადისგან გათავისუფლების სხვა შემთხვევებსაც.

### ფიზიკურ პირს რა ფორმით შეუძლია წარადგინოს დეკლარაცია?

გადამხდელს შეუძლია შესაბამის საგადასახადო ორგანოში:

- **დეკლარაცია წარადგინოს პირადად;**
- **მოახდინოს ელექტრონული დეკლარირება შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის საშუალებით;**
- **დეკლარაცია გააგზავნოს დაზღვეული საფოსტო გზავნილით.**

* * *

***ფიზიკურ პირს, რომელსაც წინა საგადასახადო წელს ჰქონდა დეკლარირებული ქონების გადასახადი, უფლება აქვს არ წარადგინოს ქონების გადასახადის დეკლარაცია მიმდინარე წელს. მოცემულ შემთხვევაში ქონების გადასახადი მას ავტომატურად ერიცხება.***

***ფიზიკურმა პირმა, რომელსაც წინა საგადასახადო წელს ჰქონდა დეკლარირებული ქონების გადასახადი და მიმდინარე წელს აღარ აქვს დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება, დეკლარაციის წარუდგენლობის შესახებ უნდა აცნობოს საგადასახადო ორგანოს.***

***ფიზიკურ პირს, რომელსაც ქონების გადასახადის დეკლარირებისა და გადახდის ვალდებულება აქვს, აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი სანქცია დაეკისრება.***

**ოთარ ტურაბელიძე**

**ალიან-ჩალიანი**

## სათბობით უზრუნველყოფის მიზნით - 200-ლარიანი დახმარება

**გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას სათბობით უზრუნველყოფის მიზნით 200-ლარიანი დახმარება დაურიგდება. ეს გადაწყვეტილება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომაზე მიიღეს. როგორც სხდომის დამთავრების შემდეგ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, ოჯახების რაოდენობა რომელთაც სათბობით უზრუნველყოფა სჭირდება, 9 500-ს შეადგენს.**

**მისივე თქმით, უკვე დაიგეგმა, რომ 11 ნოემბერს გაიმართება დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა და კომისია დონორებს მიაწვდის ინფორმაციას იმ საჭიროებათა ნუსხის შესახებ, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვერ დაფინანსდება.**

**— ეს არის ძირითადი ინდივიდუალური საჭიროებები, მათ შორის გამოვყოფდი რამდენიმე ოჯახს, რომელთაც არ აქვთ საცხოვრებელი სახლი. ჩვენ მივაწვდით დონორებს დაზიანებული სახლების და სახურავების ნუსხას, ეს იქნება გადაუდებელი საკითხები, რაშიც გვჭირდება დონორთა დახმარება. ასევე, გვყავს რამდენიმე ოჯახი, რომლებიც იყვნენ კოალიცია „ქართული ოცნების" მხარდამჭერები და ამის გამო ვერ მიიღეს სახლები და კომპენსაცია, — განაცხადა დავით ნარმანიამ.**

**ინტერპრესი**

ⓞ არის წინადადება!

# სატყეო დარგი სისტემურ ცვლილებებს მოითხოვს

**ნებისმიერი დარგის მართვის პოლიტიკა, მიზანი და ამოცანები არსებული პრობლემების გადაწყვეტის ეფექტიანი გზების ძიებას ემყარება. რა თქმა უნდა, ეს ეხება სატყეო დარგსაც, თუმცა, ეს უკანასკნელი თავისი სპეციფიკურობით გამოირჩევა, რაც დარგში დაშვებული შეცდომების გამოსწორებისათვის ხანგრძლივ პერიოდს, პროფესიონალთა უდიდეს პასუხისმგებლობასა და ძალისხმევას მოითხოვს, რაც დარგის პოლიტიკის შემუშავების დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული.**

წლეულს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა „საქართველოს ეროვნული სატყეო პოლიტიკის“ კონცეფცია, სადაც ვკითხულობთ: „სატყეო სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის, ასევე ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის, სიღარიბის აღმოფხვრის ხელშეწყობისა და ადამიანების კეთილდღეობისათვის, ეროვნული სატყეო პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს: ქვეყანაში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის მართვის საკითხებში საზოგადოების მონაწილეობას და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას“.

აქვე ვკითხულობთ, რომ „მიზნის მისაღწევად საჭიროა საქართველოს ტყეების სარგებლობა ხორციელდებოდეს ისეთი მეთოდებითა და ინტენსივობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყეების ეკოლოგიური სიჯანსაღის შენარჩუნებასა და სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებას“.

ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ განმარტება ზოგადი ხასიათისაა და არ იგრძნობა, რომ ეროვნული სატყეო პოლიტიკა უნდა ეხებოდეს უშუალოდ ტყეს, მის პროდუქტიულობის ამაღლებასა და ტყითსარგებლობის პრინციპების სრულყოფას. დღეს დარგში დაგროვილია იმდენი მეცნიერული და პრაქტიკული გამოცდილება, რომ თუ მის გამოყენებას ეფექტურად შევძლებთ, ახალი მეთოდების ძიება აუცილებელი არ იქნება. ამისთვის კი საჭიროა გაანალიზდეს დარგში შექმნილი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები და დავსახოთ მათი გამოსწროების ღონისძიებები. ის რომ, სატყეო დარგის არასწორად მართვის გამო, დღეს არამარტო ტყე, არამედ დარგიც განადგურებულია, ამას ყველა აღიარებს, მაგრამ ჯერჯერობით, რადიკალური ნაბიჯები არ იგრძნობა. ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობ, დარგში მრჩეველთა საკონსულტაციო საბჭოს არარსებობაცაა, ეს მაშინ, როცა დარგს არასპეციალისტები მართავენ. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადგილობრივი სპეციალისტების მიმართ ნდობა ნაკლებია. რაც შეეხება უცხოელ კონსულტანტებს, მათ ჩვენი ტყეების მდგომარეობაზე ნაკლები ინფორმაცია აქვთ, რადგანაც უკანასკნელ 15-20 წლის განმავლობაში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. სწორედ ეს შეიძლება იყოს სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული „საქართველოს ეროვნული სატყეო პოლიტიკის“ ზოგადი ხასიათის მიზეზი.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დარგის ახალმა ხელმძღვანელობამ მიიღო რამდენიმე კანონი, მაგრამ მათი აღსრულებისათვის დარგის სისტემური ცვლილებები თუ დროულად არ განხორციელდება, კანონები შეუსრულებელი დარჩება. „ასე იყო და ასე იქნება“. რაც შეეხება სატყეო პოლიტიკას, ჩვენი შეხედულება მიზანთან და ამოცანებთან დაკავშირებით, უდავოდ, რადიკალურად განსხვავდება, რადგან ჩვენ მიგვაჩნია, რომ სატყეო პოლიტიკა, არამარტო ტყის მდგრადი მართვის, არამედ „უწყვეტი“ სარგებლობის პრინციპსაც გულისხმობს და მისი მიზანია: ტყეების პროდუქტიულობის ამაღლება და ტყითსარგებლობის პრინციპების ეფექტიანად მართვა, რითიც გაიზრდება ტყეების „კოსმიურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური“ ფუნქციები.



აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ პერიოდში სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია ტყისადმი ზიანის მიუყენებლად არ ხორციელდებოდა. **სწორედ ამ პერიოდში იჩინა თავი ტყისადმი მომხმარებლურ-კომერციულმა დამოკიდებულებამ, როცა მთავარი მიზანი ტყიდან მინიმალური დანახარჯებით რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი მერქნის წამოღება იყო. ეს რა თქმა უნდა, დაუშვებელია, რადგანაც იგი ტყეს, ასევე, არანაკლებ აზიანებს. სწორედ ამ პრინციპმა განაპირობა ტყის მოვლისა და ტყით სარგებლობის ტექნოლგიური ციკლის ძირითადი ოპერაციების უგულებელყოფა. კერძოდ, აღარ ხდებოდა ტყეების ინვენტარიზაცია, აღარ ხდებოდა ტყის ჭრის სისტემებისა და სახეების შერჩევა, მთელი ტექნოლოგიური ციკლი „ხის ჭრამდე“ დაიყვანეს. უკონტროლობისა და არაპროფესიონალიზმის პირობებში ამოქმედდა ასევე დანაშაულებრივი პრინციპი, „რასაც მინდა, სადაც მინდა, რამდენსაც მინდა იმდენს ვჭრი“, ამან კი თავის მხრივ ტყეების გამეჩხერება და განადგურება გამოიწვია, რასაც თან მოჰყვა კლიმატის ცვლილებები თანმდევი კოკისპირული წვიმებით, წყალდიდობებით, ღვარცოფებით, მეწყერებით, სეტყვითა და სხვა, რამაც გამოიწვია არამარტო ნგრევა და განადგურება, არამედ შეეწირა მრავალი ადამიანის სიცოცხლეც.**

**იქიდან გამომდინარე, რომ არ ხდება ტყეების ინვენტარიზაცია, ტყის ჭრის სისტემებისა და სახეების შერჩევა, ცხადია, არ ხდება, ტყეკაფების გამოყოფა, მათი ეფექტიანად ათვისებისათვის აუცილებელი წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოების გაწევა, რაც ასევე აუცილებელია რთული მთიანი რელიეფის პირობებში, ტყეების ათვისების სამუშაოთა წარმოების დროს. ტექნოლოგიური ციკლის ოპერაციების უგულებელყოფამ, ტყეების განადგურებასთან ერთად, დარგის სისტემური განადგურებაც გამოიწვია.** გაუქმდა დარგის მართვის პირველადი პროფესიული რგოლი „სატყეო მეურნეობა“ შესაბამისი პროფესიონალი კადრებით, სანაცვლოდ მიიღეს გადაწყვეტილება ტყეების გრძელვადიანი (20 წ.) გასხვისების შესახებ, რა თქმა უნდა, ისეთ პირობებში, როცა პირველადი პროფესიული საშემსრულებლო რგოლები აღარ არსებობდა. არაპროფესიონალ ლიცენზიანტებისათვის ტყის გადაცემა ტყის მიმართ დანაშაულებრივ ქმედებად უნდა შეფასდეს, რადგან სახელმწიფო მართვის პირობებში, თუ კი ასეთი ქაოსია, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა არაპროფესიონალი ლიცენზიანტებისადმი დაქვემდებარებული ტყის მასივები. ეს მაშინ, როდესაც მთაგორიან რელიეფზე განლაგებულ საქართველოს ტყეებს, უდიდესი ეკოლოგიური დატვირთვა აქვს და მისდამი მომხმარებლურ-კომერციული დამოკიდებულება დაუშვებელია. ამდენად, წინა პლანზე დგება ტყეების პროდუქტიულობის ამაღლება და ტყითსარგებლობის მეთოდების სრულყოფა, რაც თავის მხრივ ეროვნული სატყეო პოლიტიკის მიზანსა და ამოცანას წარმოადგენს, ხოლო, რაც შეეხება სიღარიბის დაძლევასა და ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვას, იგი თანამდევ პრობლემად უნდა მივიჩნიოთ.

**ყოველივე ზემოთ აღნიშნული, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ტყეში მეურნეობის ტექნოლოგიური ციკლის დარღვევა, რაც ხარჯების შემცირებით, უკონტროლობითა და არაპროფესიონალიზმით არის განპირობებული, შესაძლებელია აღდგეს მხოლოდ დარგის სისტემური ცვლილებების შემთხვევაში, რაშიც არაპროფესიონალი საზოგადოების ჩართვა დაუშვებელია. ამასთან, ტყეში მეურნეობის წარმოების სრულყოფილი ტექნოლოგიური ციკლის აღდგენა მოითხოვს „სახელმწიფო პროგრამის“ შემუშავებას, რაც თავის მხრივ, ფინანსურ უზრუნველყოფას საჭიროებს. ამაში პრიორიტეტულ მიმართულებად ბიუჯეტის ასიგნებანია გასათვალისწინებელი, რის ოდენობა, ტყეების მიერ შესრულებული „კოსმიურ-ეკოლოგიური“ ფუნქციის ტოლფასი უნდა იყოს. თუმცა, ასეთი შეფასება, დღემდე არ ყოფილა, რაც ვფიქრობთ, არასწორია.**

აქვე გვინდა, აღვნიშნო, რომ მოსაწესრიგებელია ურთიერთობა, ტყეზე გრძელვადიანი (20 წ.) მოსარგებლე ლიცენზიატებთან. დღეისათვის ასეთ მოსარგებლეს 177000 ჰექტარ ტყეზე აქვთ მოპოვებული ლიცენზია, საიდანაც ბიუჯეტში მხოლოდ 7 მლნ ლარია შეტანილი, ანუ 1 ჰა-ზე 40 ლარი, რაც ყოველგვარ დასაბუთებას მოკლებულია.

**არსებული მდგომარეობის მოწესრიგებისა და გამოსწორების მიზნით: პირველ რიგში საჭიროა, მათ საქმიანობაზე კონტროლის გამკაცრება სატყეო პოლიტიკის ფარგლებში, ამასთან, უნდა აიკრძალოს ტყეების გასხვისება ფართობის მიხედვით, გარდა გამონაკლისისა, ხოლო მერქნის გაცემის შემთხვევაში გასათვალისწინებელია სპეციალიზაციის პრინციპი და მათ კორუფციის თავიდან აცილების მიზნით უნდა აეკრძალოთ ნედლეულის გაყიდვა.**

ამასთან ერთად, მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით ტყეში უნდა დავიწყოთ გასხვისებული ფართობების გამოსყიდვა და სატყეო მეურნეობის აღდგენა, რის ბაზაზეც უნდა შეიქმნას „სერვის ცენტრები“, რომელთა მიზანი — ტყეების პროდუქტიულობის ამაღლება და ტყითსარგებლობის პროცესების უფრო ეფექტიანად მართვის ღონისძიებათა განხორციელება იქნება. მოსაწესრიგებელი იქნება მთაში მცხოვრები მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის საკითხიც.

**დაბოლოს, გვინდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ ეროვნული სატყეო პოლიტიკის მიზანს, პირველ რიგში, წარმოადგენს, ერთის მხრივ, ტყეების პროდუქტიულობის ამაღლება, ხოლო მეორეს მხრივ — ტყითსარგებლობის მდგრადი მართვის პრინციპის „უწყვეტი“ სარგებლობის ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება, რაც თავის მხრივ, ტყეების „კოსმიურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური“ ფუნქციების ამაღლებას შეუწყობს ხელს. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეროვნული სატყეო პოლიტიკის ამოსავალი ტყეების მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რაც თავის მხრივ სახელმწიფო და ზოგადსაკაცობრიო სოციალური ფუნქციების ზრდის საწინდარი იქნება.**

იმედი გვაქვს, ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს სამინისტრო გაითვალისწინებს და შეიტანს გამოსაცემად მომზადებულ შესაბამის დოკუმენტებში.

**ლევან გვაზავა,**
პროფესორი

ⓞ ალიან-ჩალიანი

## კომპანიებმა, რომლებიც უკანონოდ ოპერირებენ საქართველოს ტერიტორიაზე, პასუხი უნდა აგონ

**ამის შესახებ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.**

**მისი თქმით, ამ მიმართულებით საქართველოში ბოლო ხუთი წელი არაფერი გაკეთებულა.**

**— ეს უკვე სასამართლოს საქმეა და იურისტებმა უნდა იმუშაონ ამასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, ამ ტიპის კომპანიები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ ოპერირებენ, არა მარტო სატელეფონო, არამედ სხვებიც, პასუხი უნდა აგონ. ხუთი წელი ამ მიმართულებითაც არაფერი გაკეთებულა. ყველა ის კომპანია, რომელიც ასე უტიფრად, თავხედურად იქცეოდა საქართველოს ტერიტორიაზე, ძველი ხელისუფლება კი მხოლოდ ლაპარაკობდა და არაფერს აკეთებდა, ჩვენ გვინდა, რომ დავიწყოთ საქმიანობა ამ მიმართულებით და ყველა კომპანიას ჰქონდეს განცდა იმისა, რომ მისი საქმიანობა უპასუხოდ არ დარჩება, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა რუსულ კომპანია „ემტეეს“-თან დაკავშირებით.**

**საქართველოს მთავრობა რუსულ ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელ „MTC“-ს უჩივლებს, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მედიასთან შეხვედრაზე განაცხადა.**

**როგორც პრემიერმა აღნიშნა, ის შეხვდა პოლონელ ჟურნალისტებს და მიიღო ინფორმაცია, რომ, როდესაც ისინი ე.წ. საზღვართან მივიდნენ, მათ ჰქონდათ კომპანია „MTC“-ის ტელეფონი, რომელზეც აღინიშნა, რომ ისინი რუსეთის ტერიტორიაზე მოხვდნენ.**

**— ეს მოხდა როგორც კი ე.წ. საზღვარს 200 მეტრით მიუხლოვდნენ. ეს ყველაფერი მე ჩავიწერე. ახლა ცდებს ჩავატარებთ და ჩვენ ვუჩივლებთ MTC-ს. წინასწარ ვაფრთხილებ, რომ აუცილებლად ვუჩივლებთ, სადაც საჭიროა და როგორც ხდება საერთაშორისო ნორმებით. ეს არის აღმაშფოთებელი. ვისარგებლებდი სიტუაციით და რუსეთის ხელისუფლების ყურადღებას მივაპყრობდი, რომ ასეთი გაუგებრობისგან თავი შეიკავონ. მე არ ვიცი, შეთანხმებულია რუსეთის მთავრობასთან, არ არის შეთანხმებული, მაგრამ ეს არის რუსული კომპანია. ამაზე მკაცრი რეაქცია იქნება და მოვითხოვთ მათ რიცხვში ხელისუფლებისგან პასუხს, რომ ის არ არის რუსეთის ტერიტორია, ეს არის საქართველოს ტერიტორია, — განაცხადა ივანიშვილმა.**

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მარგველაშვილის გამარჯვება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში: პირველი რეაქციები და შეფასებები

**27 ოქტომბერს საქართველომ აირჩია მიხეილ სააკაშვილის მემკვიდრე პრეზიდენტის პოსტზე. იგია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი გიორგი მარგველაშვილი.**

### მადლობა ბიძინა ივანიშვილს

**მარგველაშვილის ერთმნიშვნელოვანი გამარჯვების შესახებ მოწმობს ეგზიტპოლის მონაცემები, რომლებიც გამოქვეყნდა საარჩევნო უბნების დახურვისთანავე. კანდიდატის მომხრეებმა — „მეოცნებეებმა“ ეს შედეგები აღნიშნეს ფეიერვერკითა და საავტომობილო კორტეჟებით დედაქალაქში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზეიმი არც ისე აქტიური და მასობრივი იყო, როგორც შარშან, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით გაიმარჯვა პარლამენტის არჩევნებში.**

ეგზიტპოლის შედეგების გამოქვეყნებისთანავე გაისმა კანდიდატების პირველი რეაქციებიც. გიორგი მარგველაშვილმა მიულოცა მთელ ქვეყანას და მადლობა გადაუხადა თავის მომხრეებსა და პრემიერ ბიძინა ივანიშვილს.

**„მეტად მნიშვნელოვანია, რომ ის არაბუნებრივი ცხრა წელიწადი, რომლებიც გადავიტანეთ, დამთავრდა. განსაკუთრებით მადლობელი ვარ შესანიშნავი ადამიანისა, რომელიც კვლავ რჩება ჩემ მეგობრად და ავტორიტეტად, რომელმაც შექმნა შარშანდელი გამარჯვებაც და დღევანდელიც, — ბიძინასი. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ვართ თავისუფალი ერი და თავისუფლად შეგვიძლია ავირჩიოთ ის ადამიანი, ვინც ხალხს უნდა ემსახუროს“,** — განაცხადა მარგველაშვილმა.

ივანიშვილმა თავის მხრივ აღიარა, რომ მეტად კმაყოფილია არჩევნების შედეგებით. **„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ფრიადზე ჩავაბარე რთული გამოცდა, რისთვისაც დიდხანს ვემზადებოდი. ეს ჩვენი დიდი გამარჯვებაა“,** — განაცხადა მან. პრემიერმა ბოდიში მოიხადა თავისი სიტყვებისთვის, რომლებიც არჩევნების წინა პერიოდში თქვა, იმის შესახებ, რომ მეორე ტურის შემთხვევაში ის ურჩევდა მარგველაშვილს უარი ეთქვა შემდგომ ბრძოლაზე.



### მოწინააღმდეგეთა რეაქციები

**გიორგი მარგველაშვილის მთავარმა მეტოქემ — სააკაშვილის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა დავით ბაქრაძემ, რომელმაც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ხმების თითქმის 22 პროცენტი მოაგროვა, აღიარა თავისი დამარცხება და მიულოცა მარგველაშვილს გამარჯვება და გამოუცხადა ნდობა. „ვულოცავ ყველა ჩვენგანს მშვიდობიან არჩევნებს, რომლისგანაც მოვიგეთ ყველა ჩვენგანმა. ვუსურვებ მთავრობას კარგ მუშაობას, თავის მხრივ, როგორც ოპოზიციის ლიდერი, გავაკონტროლებ მას“,** — აღნიშნა ბაქრაძემ. მისი სიტყვებით, კენჭისყრამ აჩვენა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რჩება ქვეყანაში მთავარ ოპოზიციურ ძალად, მიუხედავად მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე ზემოქმედებისა პარტიის მომხრეებზე. მიხეილ სააკაშვილმაც არჩევნები გამართულად ჩათვალა და მოუწოდა ყველას, პატივი სცენ უმრავლესობის ნებას.

აღსანიშნავია, რომ მესამე მნიშვნელოვანი კანდიდატი, პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, რომელმაც ხმების 10 პროცენტზე ოდნავ მეტი მოაგროვა, ადრე აცხადებდა, რომ არ ენდობა ეგზიტპოლის შედეგებს და, მისი მონაცემებით, უნდა გაიმართოს მეორე ტური, სადაც იგი შეხვდება მარგველაშვილს. ბურჯანაძე აცხადებდა, რომ დაიცავს თავის ხმებს და რომ მისმა პარტიამ უკვე შეიტანა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ათასზე მეტი საჩივარი. უშუალოდ კენჭისყრის შედეგებზე, რომლებიც გამოაქვეყნა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ბურჯანაძეს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

### პრეზიდენტი - ფილოსოფოსი

**„ქართულმა ოცნებამაც“, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამაც“ დაკარგეს თავიანთი მომხრეების გარკვეული ნაწილი, მიაჩნია საერთაშორისო და უშიშროების საკითხების საქართველოს კვლევითი ცენტრის პრეზიდენტს ნიკა ჩიტაძეს. ამის შესახებ, მისი სიტყვებით, მოწმობს ამომრჩეველთა შედარებით დაბალი გამოცხადება საარჩევნო უბნებში, რამაც დაახლოებით 46 პროცენტი შეადგინა. ერთი მხრივ, ეს ასახავს ხალხის გაწბილებას, რომელიც უკვე აღარ უკავშირებს იმედს ამ პოლიტიკურ ძალებს, აღნიშნა ექსპერტმა. მაგრამ, მისი აზრით, „კარგია, რომ საქართველოში იზრდება აპოლიტიკურ ადამიანთა რიცხვი“.**

ჩიტაძის აზრით, მარგველაშვილმა გაიმარჯვა მხოლოდ „ქართული ოცნების“ რეიტინგისა და უშუალოდ პრემიერ ბიძინა ივანიშვილის წყალობით. **„რასაც არ უნდა ვამბობდეთ იმის შესახებ, რომ საქართველომ პირველად აირჩია არა გმირი, არამედ პრეზიდენტი, ხალხი მაინც ხმას აძლევდა მარგველაშვილს ივანიშვილის გამო, რომელიც ჯერჯერობით მისთვის გარკვეულწილად მესიაა“,** — აღნიშნა ექსპერტმა. მას ასევე მიაჩნია, რომ მარგველაშვილი ვერ შეძლებს გახდეს ძლიერი ფიგურა პოლიტიკაში და სახელმწიფო მართვაში გამოცდილების უქონლობის გამო. **„სხვათა შორის, იგი კარგი ორატორია, თუნდაც ფილოსოფიურ სტილში, რომელიც შეძლებს კარგად წარმოაჩინოს ქვეყანა საგარეო პოლიტიკაში. მთავარ როლს კი შეასრულებს არა პრეზიდენტი, არამედ პრემიერი“,** — ხაზგასმით აღნიშნა ჩიტაძემ. შეგახსენებთ, რომ ადრე მოქმედი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი აცხადებდა თავისი განზრახვის შესახებ, რომ დატოვებს პოსტს და წავა პოლიტიკიდან მალე პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ.

თავის მხრივ, პოლიტოლოგი ზურაბ მარშანია რამდენადმე გაწბილებულია არჩევნების შედეგებით, განსაკუთრებით კი დავით ბაქრაძის მეორე ადგილით. **„იგი წარმოადგენს გაკოტრებულ პოლიტიკურ ძალას — არის სახელმწიფო რეპრესირებული აპარატის დანამატი. ბაქრაძის მეორე ადგილი ნიშნავს, რომ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეძლო მოეხდინა თავისი თავის ლეგიტიმირება, როგორც უარტერნატივო, მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ, და იგი გამოიყენებს ამ ფაქტს 2014 წელს მომავალ არჩევნებზე ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში“,** — მიაჩნია მარშანიას. ექსპერტმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ საქართველომ პირველად აირჩია არაქარიზმატული ლიდერი. **„ვულოცავ მარგველაშვილს, იგი პოზიტიური ადამიანია, თუმცა, ამავე დროს ვუთანაგრძნობ კიდეც, ვინაიდან მას ძალიან მცირე პოლიტიკური გამოცდილება აქვს. ივანიშვილის წასვლით კი, იგი ძალიან სერიოზულ საფუძველს დაკარგავს“,** — განუცხადა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს მარშანიამ.

DW-WORLD.DE
DEUTSCHE WELLE

# საქართველოში ხმების 100 პროცენტი დაითვალეს

**საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ ყველა ბიულეტენის დათვლის შემდეგ წინა დღით გამართული პრეზიდენტის არჩევნების შედეგები უცვლელი დარჩა: კენჭისყრის შედეგების მიხედვით, იმარჯვებს პარტია „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი.**

ეუთოს მისიის წარმომადგენლებმა, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ საქართველოში პრეზიდენტის არჩევნებს, წინა დღით გამართულ კენჭრისყრას „პოზიტიური და გამჭვირვალე“ უწოდეს.

მისიის წინასწარ მოხსენებაში ნათქვამია, რომ საჩივრების უმრავლესობა სავარაუდო დარღვევების შესახებ მეთვალყურეების მიერ უარყოფილია. დოკუმენტის თანახმად, გამართული არჩევნები მოწმობს „ქართული დემოკრატიის გაზრდის შესახებ“.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, პრეზიდენტის არჩევნებში ბიულეტენების 100 პროცენტის დათვლის შემდეგ ლიდერობს მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი. მან მოაგროვა ამომრჩეველთა ხმების 62,11 პროცენტი და ამრიგად, გაიმარჯვა პირველსავე ტურში.

მის ძირითად ოპონენტს, კანდიდატს მოქმედი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ხმა მისცა ამომრჩეველთა 21,73 პროცენტმა.

მესამე ადგილზეა კანდიდატი პარტიიდან „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ ნინო ბურჯანაძე — მას ამომრჩეველთა ხმების 10,18 პროცენტი აქვს.

მარგველაშვილის მომხრეებმა თავისი კანდიდატის გამარჯვების აღსანიშნავი დღესასწაული დაიწყეს უმალვე ეგზიტპოლის მიერ გამოცხადებული შედეგების შემდეგ.

ბაქრაძემ უკვე მიულოცა მეტოქეს გამარჯვება, მაშინ, როდესაც ბურჯანაძემ განაცხადა, რომ იდავებს კენჭისყრის შედეგებთან დაკავშირებით.

გამოკითხვით, რომელიც მისმა გუნდმა მოაწყო, უნდა იყოს არჩევნების მეორე ტური, სადაც ერთმანეთს უნდა შეხვდნენ მარგველაშვილი და თავად ბურჯანაძე.

პარლამენტის ყოფილი სპიკერი დაგვპირდა, რომ თუ მისი ეჭვი კენჭისყრის დროს ფალსიფიკაციის შესახებ დადასტურდება, იგი შეეცდება სამართლიანობის მიღწევას ნებისმიერი კანონიერი მეთოდებით, მათ შორის, სასამართლოს მეშვეობითაც, არ გამორიცხა ქუჩის აქციებიც.

### უსააკაშვილოდ

**საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია გაიმართება 17 ოქტომბერს, იტყობინებოდა ადრე ქვეყნის პარლამენტის იურიდიული კომიტეტი.**

საბოლოო შედეგები უნდა გამოცხადდეს არაუგვიანეს 20 დღის შემდეგ.

კონსტიტუციის თანახმად, მოქმედ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს არ შეეძლო მიეღო მონაწილეობა ამჟამინდელ არჩევნებში, ვინაიდან 2008 წელს იგი უკვე იყო არჩეული მეორე ვადით.

მისმა მთავარმა პოლიტიკურმა ოპონენტმა, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, ასევე არ მიიღო მონაწილეობა საარჩევნო რბოლაში.

მთლიანად პრეზიდენტის პოსტისთვის 23 კანდიდატი იბრძოდა, არჩევნებზე გამოცხადებამ 46,6 პროცენტი შეადგინა. კანონმდებლობით საქართველოში არ არის ამომრჩეველთა გამოცხადების ზღვარი.

თავად კენჭისყრა, თბილისში ბი-ბი-სი-ს კორესპონდენტის თემურ კიღურაძის სიტყვებით, წინა დღით გაიმართა მშვიდ ვითარებაში, დიდი აჟიოტაჟი საარჩევნო უბნებში არ შეიმჩნეოდა.

პრეზიდენტის არჩევნებს 3689 საარჩევნო უბანი ემსახურებოდა. მათ დამატებით 52 უბანი გაიხსნა საქართველოს ფარგლებს გარეთ — 37 ქვეყანაში, სადაც თითქმის 50 ათასი ამომრჩეველი ცხოვრობს.

რუსეთის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეებმა ვერ შეძლეს მიეღოთ მონაწილეობა კენჭისყრაში, ვინაიდან ქვეყნებმა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ერთმანეთთან გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობანი.

კენჭისყრის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდნენ ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაახლოებით 20 ათასი წარმომადგენელი და 1000-ზე მეტი საერთაშორისო მეთვალყურე.

ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილებანი წინა პრეზიდენტთან შედარებით არსებითად შეკვეცილია: მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოს დეპუტატებმა მიიღეს საკონსტიტუციო ცვლილებანი, რომლებიც სახელმწიფოს მეთაურს ართმევენ უფლებას ჩამოაყალიბოს მთავრობა პარლამენტის თანხმობის გარეშე.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**„წმინდა იუდა“ მოძრაობს ევროპაში, სახლებს ხდის სახურავებს და მცხოვრებლებს ელექტროენერგიის გარეშე ტოვებს**

**ძლიერმა ქარიშხალმა, რომელიც ევროპას თავს დაატყდა ორშაბათს, ლატვიის, ესტონეთის, ფინეთის ასობით ათასი მცხოვრები დატოვა ელექტროენერგიის გარეშე. ციკლონის მოქმედების ზონაში უკვე მოხვდა რუსეთის ნოვგოროდის ოლქი, მის მოსვლას ელოდებიან სანქტ-პეტერბურგშიც. ქარი გლეჯს სარეკლამო ფარებს და თხრის ხეებს, ყრის მათ გზებზე.**

* * *

**მეცნიერებმა ავსტრალიაში „დაკარგული სამყარო“ აღმოაჩინეს მეცნიერებისთვის უცნობი ცხოველებით**



**აღმოჩენა გაკეთდა კონტინენტის შორეულ ნაწილში — ნახევარკუნძულ კეიპ-იორკის მელვილის კონცხზე. მეცნიერთა სიტყვებით, ყველა აღმოჩენილი ცხოველი არის ადრე შეუსწავლელ სახეობათა წარმომადგენელი. თავიანთი განსაკუთრებული უნარის წყალობით ისინი წარმატებით გადარჩნენ ამ რაიონში, მიუხედავად ყოველგვარი ცვლილებისა გარემობუნებაში მილიონობით წლების განმავლობაში.**

* * *

**სან-პაულუში უწესრიგობანი გრძელდება: დაწვეს 5 ავტობუსი და 2 სატვირთო მანქანა**



**მანიფესტაციის მონაწილეებმა ასევე მოინდომეს საწვავით სავსე ავტოცისტერნის გატაცებაც. ხელისუფლებამ მხარდაჭერა სთხოვა ცენტრალურ მთავრობას. უწესრიგობის რაიონში გადაიყვანეს დიდი ოდენობით პოლიციელები. დაკავებულია 90-ზე მეტი კაცი. ხალხი ქუჩაში გამოვიდა კვირას 17 წლის მოზარდის გარდაცვალების შესახებ ცნობის გავრცელების შემდეგ.**

* * *

**სათამაშო ავტომატით ხელში მოკლული ბავშვის მკვლელმა ოფიცერმა იმუშავა 24 წელი**

**სონომის (კალიფორნიის შტატი) ოლქის შერიფის ოფისმა გამოაქვეყნა ამ ოფიცრის სახელი. მისი წყვილი ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს სამუშაოდ. 22 ოქტომბერს შერიფის თანაშემწეები ეწეოდნენ პატრულირებას მანქანაზე ქალაქ სანტა-როსას ქუჩებში, როდესაც შენიშნეს 13 წლის ენდი ლოპესი ავტომატით, რომელიც აკ-47-ს მოგაგონებდა. ქალაქის მცხოვრებლები გამჭვირვალე გამოძიებას მოითხოვენ.**



**1906 წლის 6 სექტემბერს ერთ-ერთმა უდიდესმა ამერიკელმა ჟურნალისტმა, მწერალმა, ფილოსოფოსმა, გამომგონებელმა შექმნა ეს პატარა სტატია. კაცმა, რომელიც სულით-ხორცამდე იყო შეყვარებული თავის სამშობლოზე, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა, რათა ამერიკა გაეგოთ და შეეყვარებინათ მთელ მსოფლიოში, ამ სტატიაში ჩვეული სარკაზმით დაგვანახვა თავისთვის და მსოფლიოსთვის მიუღებელი მხარე ამერიკისა.**



**მარკ ტვენის ამერიკა ესაა კეთილი, შრომისმოყვარე, ოპტიმისტი, ვაჟკაცი, გაბედული ადამიანების ქვეყანა, ქვეყანა უბრალო ფერმერებისა და კოვბოებისა, ქვეყანა ტომ სოიერისა და ჰეკლბერ ფინისა, რომლებიც შავკანიანი ჯიმის გადასარჩენად იბრძვიან, ქვეყანა საღად მოაზროვნე და ირონიული კაპიტან სტრომფილდისა.**

**მისთვის უცხოა ის ამერიკა, რომლისაც დიდ მწერალს რცხვენოდა, ესაა ქვეყანა მტაცებლური კაპიტალიზმისა, ბნელი ძალისა, ქვეყანა, რომელიც ცდილობს, დაანახვოს მთელ მსოფლიოს თავისი ძალა, დაარიგოს ჭკუა, ქვეყანა საკუთარი ქვეყნის მძარცველებისა, ქვეყანა, რომელიც მზადაა ერთი ზედმეტი დოლარის გულისთვის დაღვაროს მილიონობით სხვა ქვეყნის უდანაშაულო ადამიანების სისხლი.**

**107 წელი გავიდა ამ სტატიის გამოქვეყნებიდან. რა შეიცვალა მას შემდეგ? ნუთუ მხოლოდ ის, რომ სტატიაში ნახსენები „ას ოცდახუთი წლის“ ნაცვლად უნდა ვახსენოთ „ორას ოცდაათი წელი“? იქნებ სტატიის დაწერის წელი, რომ არ მივუთითოთ, თანამედროვე ჟურნალისტის მიერ გამოგზავნილ დღევანდელ ცხელ-ცხელ ინფორმაციად მივიჩნიოთ?**

**სწორედ იმდროინდელი, XX საუკუნის დასაწყისის დროინდელი ქართული პრესის ენით გადმოვაენეთ ეს ყურადსაღები სტატია დიდი ჰუმანისტისა და თანამედროვე მკითხველის დასაფიქრებლად შემოგთავაზეთ.**

**მამუკა ვაშაკიძე**

# მარკ ტვენი

# ჩვენ – ანგლოსაქსები

კარბისკენ მიექანება თუ ცუდისკენ, ვერ გეტყვით, მაგრამ ჩვენ მაინც ვაგრძელებთ ბებერი ევროპის დამოძღვრასა. ამით კი უკვე ასოცდახუთი წელია, დაკავებული ვართ. განა ვინმემ მოგვცა ხელდასხმა ჭკუის დამრიგებლისა? არა, თავად ავიკვიატ-ავიჩემეთ განმანათლებლობის მანტია მოგვესხა და გვექადაგნა მათთვის. ჩვენ ხომ ანგლოსაქსები ვართ.

გასული ზამთრისას მოგახსენებთ. ცნობილ კლუბ „დედამიწის შორეთად“ რომ მოუნათლავთ მავანთ, იქ დიდი პურობა შეიქმნა, ერთმა აწ უკვე გადამდგარმა სამხედრო მაღალჩინოსანმა რიხითა და აღმაფრენით დაგვმოძღვრა – **„ჩვენაო ანგლოსაქსები ვართო, და ანგლოსაქსებსა კი რამე თუ მოესურვილებათო, რაც არა აქვთ, უნდა მივიდნენ და აიღონო“.**

ამ მაღალჩინოსანი გვამის ნათქვამსა ისეთი ტაში მოჰყვა, ჭერი კინაღამ ჩამოგვინგრიეს საბანკეტო ზალისა. ამ პურობასა სამოცდახუთმეტამდე მოქალაქე და ოცდახუთამდე სამხედრო ესწრებოდა, გინა სახმელეთო და გინა საზღვაო ოფიცრობა. მთელი ორი წუთი გასტანა ყიჟინამ, მთელი ორი წუთი ანთხევდნენ თავიანთ აღტაცებასა გამოწვეულსა ამ დეკლარაციითა. თავად აღფრთოვანებული წინასწარმეტყველი, ამომრწყველი ამ სიბინძურისა ანდა რა გულბოყვმა დაიტია მთელი ეს საზიზღრობა, იდგა გაბრწყინებული თვითკმაყოფილი სახითა, თითქოს თავისი მახინჯი სხეულიდან ღვთიურ ბრწყინვალებას ასხივებსო (აი მაშინ კი გამახსენდა ჩემი ბალღობის კალენდრის ფურცლებზე გამოხატული ვინმე ქონდრისკაცი, რომელსაც გაფატრული სტომაქიდან ათორმეტნი ზოდიაქონი მოფრინავდნენ. თავად ისეთი კმაყოფილებით იმზირებოდა, არც უწყოდა, რომ ღიმილსა დასტაქარის გამოძახება ერჩივნა).

თუ ამ რეგვენის დეკლარაციას ჩვეულებრივი მოკვდავის ენაზე გადმოვაენებთ, ამრიგად აჟღერდება: **„ჩვენა ინგლისელები და ამერიკელები– ქურდები, ყაჩაღნი და მეკობრენი ვართ და ამით უნდა ვიამაყოთ კიდეცა“.**

იქ მყოფ ინგლისელთა და ამერიკელთა შორის ერთი არ აღმოჩნდა, ვისაც ეყოფოდა მოქალაქეობრივი გამბედაობა იმისა, რომ წამომდგარიყო და ეთქვა, მრცხვენია ჩემი ანგლოსაქსობისა, მრცხვენია ცივილიზებული საზოგადოებისა, რომელნიცა ითმენენ მათ რიგებში ანგლოსაქსებსაო. ვერც მე ავიღე ჩემს თავზე, ავცეცხლდებოდი და მეტად სასაცილო მდგომარეობაში ჩავიგდებდი ჩემს თავსა. იმ საწყალ აღმზრელად გამოვჩნდებოდი, რომელიცა ცდილობს ზნედაცემულთა და უზნეოდ ასწავლოს ზნეობა და მორალი, მაშინ როდესაც ამ ბრიყვთა სურვილიცა არა აქვთ ამისა.

ეს იყო მეტად ყურადსაღები საქციელი – როგორ ბავშვური აღტკინებით, მართლაც რომ ალალად ცქმუტავდნენ წინასწარმეტყველის მანტიაში გადაცმული ოფიცრის ამყრალებული სენტენციისა გამო. თვითმხილების სუნი უდიოდა ყველაფერსა, უნებური დარტყმისა გამო გამსკდარი გულბოყვიდან გადმოინთხა ის საიდუმლო აღტკინება, რასაცა ჰქვია ჩვენი ეროვნული სულისთქმა.

თავყრილობაზე მოწვეულნი იყვნენ პაცივცემული გვამნი ჩვენი ელიტისა, ყველაზე გავლენიანი პირნი ჩვენი საზოგადოებისა, ისინი ვისაც საჭე უპყრიათ ჩვენი ეროვნული ცივილიზაციისა და



ჩვენი ცხოვრებისა: ადვოკატები და ბანკირები, ვაჭრები, ფაბრიკანტები, ჟურნალისტები და პოლიტიკოსები, ოფიცრები არმიისა და ფლოტისა. აქ იყვნენ ყველანი – მთელი შეერთებული შტატები, ხალხნი, მოწვეულნი პურობაზე, სრული უფლებით გამოხატავდნენ იმ ფარულ კოდექსებსა, რაც მათ სულში იყო ჩავანებული.

ეს აღტკინება არ იყო შემთხვევითი და უნებლიე, ისეთი, რომელსაც შემდგომ გახსენებისას მოინანიებ. არამც და არამც. საკმარისი იყო შემდგომ ორატორს შეემჩნია უყურადღებობა და გაციება დამსწრეთა სახეებზე, რომ უცებ ჩააკვეტებდა თავის გამოსვლაში ზემოთ ნახსენებ ბანალურობასა ანგლოსაქსური მორალური დეკლარაციიდან, რაც დამსწრეთა აღტკინებასა და კმაყოფილ ყიჟინას გამოიწვევდა. რას იზამ, ასეთია მოდგმა კაცობრიობისა. ამგვარებს ყოველთვისა აქვთ სამარაგო აბგაში ორი მარაგი გადანახული, მარაგი ორი მორალური კოდექსისა. ერთი ოფიციალური, რომელსაცა სანახაობისთვის და სიკეკლუცისთვის, მოწონებისთვის გაწვდის, თვალის მოსატყუებლად, და მეორეცა უტყუარი და ნამდვილი, რომელიც მამაპაპური განძივითა აქვს გადანახული და რომელზედაც სდუმს და არ ამხელს ბოლო წუთამდინა.

ჩვენი დევიზია **„გვწამს ღმერთი“**. რამდენადაც ამ ღვთისმეტყველურ სიტყვებსა ვკითხულობ სათამაშო ქაღალდის დოლარიანზე (რომელიცა სულ რაღაც სამოც ცენტად შეგიძლია იყიდო), მეზმანება ამის გამო, როგორ ცახცახებს დოლარიანი და რელიგიურ ექსტაზში ჩავარდნილი ზლუქუნს იწყებს. სწორედ ეს, დოლარიანზე წაწერილი დევიზია, მორალური სახე აბგაში გადანახული საკეკლუცოდა და სხვათა დასანახად სათქმელი. მეორე, გადამალული, უტყუარი და ნამდვილი კი, ის ანგლოსაქსური დეკლარაციაა: **„როდესაც ანგლოსაქსს რამე მოესურვილება, რაც არა აქვს, ის მიდის და იღებს“.**

ჩვენმა ოფიციალურმა ზნეობამა გულისამაჩუყებელი გამოსახვა ჰპოვა მეტად აღმატებულ, ჰუმანურ დევიზში „E Peuribus unum“ („მრავალთაგან ერთი“ – ლათ.) აქედან გამომდინარეა ისა, რომ ჩვენ, ამერიკელები, ძმური სიყვარულით შეკრულ ერთ ოჯახს წარმოვადგენთ. ხოლო მეორე მხრივ ჩვენი ზნეობრიობა კარგადა ჩანს უკვდავ ამერიკულ გამონათქვამში: **„ეი, შენ, მანდ, გაინძერი!“.**

ჩვენ ჩვენეული, ამერიკული იმპერიალიზმი ბებერი მონარქიული ევროპისაგან გვერგო წილად, ამასთან ერთად ხურდაში მოაყოლეს ჩვენი მეტად უცნაური წარმოდგენებიც პატრიოტიზმზე –თუნდაც ერთი, საღად მოაზროვნე ადამიანი მაინც შეძლებს ამიხსნას კი, რას ვგულისხმობთ სიტყვა „პატრიოტიზმში“? აქედან გამომდინარე წესითა და კანონით ჩვენცა გვაქვს უფლება რაღაც-რაღაცები ვასწავლოთ ბებერ ევროპასა. იქნებ იმათაცა სურთ პასუხები ამ კითხვებზედა, რასაც ჩვენ ვერა ვხვდებით და ჩვენებურად ვსაზღვრავთ?

ასიოდე წლის წინათ ჩვენც ჩავუტარეთ ევროპას დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გაკვეთილები, ჩვენც არანაკლებ შევუწყვეთ ხელი ფრანგთა რევოლუციასა და თუ იმათ რამე იხეირეს ამით, ხომ ჩვენი წვლილიცა დევს. მომავალშიც ჩავუტარებთ გაკვეთილებსა, ჭკუადსაღებსა და მისაღებსა. რომ არა ჩვენ, ვერასოდეს გაიგებდნენ ევროპელები რა არის გაზეთის რეპორტიორი; უჩვენოდ ვერასოდეს გაიგებდნენ გემოს უზომო გადასახადების სიტკბოებისას; მათი კვების ტრესტები ვერასოდეს შეძლებდნენ დაუფლებოდნენ იმის ხელოვნებასა, თუ როგორ დაანაყრო ხალხი თავისავე ფულით ნაყიდი სამსალით; უჩვენოდ ევროპის სადაზღვევო კომპანიები ვერასოდეს ისწავლიდნენ ქვრივ-ობოლთა ხარჯზე გამდიდრებასა; რაც შეეხება ყვითელ პრესასა, შევიდოდა ოდესღაც ეგეცა ევროპაში, მაგრამ ჩვენ ხომ დავუჩქარეთ ამ სიამოვნების მიღება.

დაუღალავად, მტკიცედ და დაჟინებულად ვაამერიკელებთ ევროპასა და სულ მალე ამ საქმესა ბოლომდი მივიყვანთ. ჩვენ ხომ ანგლოსაქსები ვართ.

**1906 წლის 7 სექტემბერი.**


# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

**სს „ელმავალმშენებელი“ 2013 წლის 29 ოქტომბრიდან აცხადებს კონკურსებს:**

1. 75 ტონა ტვირთამწეობის ხიდური ამწის 300 მეტრი სიგრძის სავალი გზის განახლების სამუშაოების მომსახურების შესყიდვის შესახებ;
2. სამანქანო საამქროში 1360 კვადრატული მეტრი მოზაიკური იატაკის მოწყობის სამუშაოების მომსახურეობის შესყიდვის შესახებ;
3. თბომავლის ტგმ-23ბ კაპიტალური შეკეთების (დიზელის ძრავის ახლით შეცვლის) მომსახურების შესყიდვის შესახებ;

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა წერილობით უნდა მიმართოს სს „ელმავალმშენებლის“ მუდმივმომქმედ საკონკურსო და სააუქციონო კომისიას. პრეტენდენტს უფლება აქვს, კონკურსამდე ადგილზე გაეცნოს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობას.

**კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით;
2. შესაბამისი სამუშაოების შესრულების გამოცდილება (ხელშეკრულება ან/და მიღება-ჩაბარების აქტები);
3. შესასრულებელი მომსახურების გაწევის ღირებულება;
4. პირადობის მოწმობის ქსერო ასლი;
5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით;
6. იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, რომელიც გაცემული უნდა იყოს წინამდებარე კონკურსის გამოცხადების შემდეგ.

**ინფორმაცია კონკურსის ჩატარების შესახებ:**

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმე დღეების გარდა, 10-დან 15 საათამდე (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

კონკურსი გაიმართება 2013 წლის 11 ნოემბერს 16 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული, ოთახი №313.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია **ყველაზე დაბალი ფასის დასახელება.**

დამატებითი ინფორმაცია კონკურსის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ:

**ტელ: ლოტებზე №1 და №2 – 577488010, ლოტზე №3 – 577434742, საორგანიზაციო საკითხებზე – 577551034, 577003707.** ვებ-გვერდი: **www.glmf.ge**

**სს „ელმავალმშენებლის“ მუდმივმოქმედი საკონკურსო და სააუქციონო კომისია.**

ჭიდაობა

# მოძმანაშვილმა ჩეჩნეთი „დაიპყრო“



**გროზნოში ჩეჩნეთის პრეზიდენტის – რამზან კადიროვის თასი მეხუთედ გათამაშდა. შეჯიბრება მსუყე საპრიზო ფონდით გამოირჩევა – გამარჯვებულები 20 000 დოლარით ჯილდოვდებიან, ვერცხლის პრიზიორები – 5 000, მესამეადგილოსნები – 2000 დოლარით.** შეჯიბრებაში რუსეთის ცალკეული რეგიონების გუნდებთან ერთად საქართველოს, ამერიკის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსის, უკრაინის, ტაჯიკეთის და ყირგიზეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

ქართველთაგან შესანიშნავად იასპარეზა დავით მოძმანაშვილმა, რომელიც ამ ტურნირის გამოკვეთილი ფავორიტი იყო. პირველ შეხვედრაში მან ადგილობრივი ფალავანი ასლან მალცაგოვი დაამარცხა, მერე ოსთა გუნდის წევრ ალექსანდრ კუსრაევს სძლია, ნახევარფინალში ასევე ოსი, რუსეთის პირველობის მედალოსანი ედუარდ ბაზროვი ბეჭები გააკრა ხალიჩას, ფინალში კი დაღესტნელ არსლანბეკ ალიევს 3:1 მოუგო და მთავარი პრიზი მოიპოვა.

**გივი გაგუა**

რაგბი

# წარმატებული სტარტი



**პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში დაიწყო 19-წლამდელ მორაგბეთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც ჩაება. პირველ მატჩში ახალგაზრდა „ბორჯღალოსნებმა“ ჩეხეთის ნაკრებს დიდი ანგარიშით 69:8 მოუგეს.** ნახევარფინალში ჩვენი ბიჭები ესპანელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან. პირენეელებმა ყველასთვის მოულოდნელად რუმინეთის გუნდი დაამარცხეს – 27:3. შეგახსენებთ, რომ ევროპის პირველობაში გამარჯვებული გაისად ჰონგ კონგში მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე იასპარეზებს. ლისაბონში საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: 15. გიორგი აფციაური, 14. მურაზ გიორგაძე, 13. გიორგი ნათელაშვილი, 12. რევაზ ბროძელი, 11. დავით გულიტაშვილი, 10. რევაზ ჯინჭველაშვილი, 9. თეიმურაზ თუთბერიძე. 1. ზაურ ხარებავა, 2. გიორგი თორაძე, 3. გიორგი მარგველანი, 4. როლანდ კვაჭაძე, 5. ბესიკ ბარბაქაძე, 6. თორნიკე ბუბუტეიშვილი, 7. საბა შუბითიძე, 8. დავით პაპავაძე. 16. დავით ფხაკაძე, 17. ბადრი ალხაზაშვილი, 18. ბექა კაკაბაძე, 19. ნიკოლოზ გიგაური, 20. ჟორა მღებრიშვილი, 21. გიორგი ტალახაძე, 22. ანზორ სიჭინავა, 23. ირაკლი სვანიძე.

**მეოთხედფინალი:** ბელგია – რუსეთი 33:12, რუმინეთი-ესპანეთი 3:27
**ნახევარფინალი:** საქართველო-ესპანეთი, ბელგია-პორტუგალია

**ვაჟა ნოსირელი**

ჩოგბურთი

# ნაბიჯ-ნაბიჯ - ისევ ასეულისკენ



**შარშან ამ დროს თბილისელი ანა ტატიშვილი ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო რეიტინგში ორმოცდაათეულის სიახლოვეს ტრიალებდა, ამჟამად კი მეორე ასეულშია, მაგრამ ბოლო სამი კვირაა, საკლასიფიკაციო მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორა – წინა კვირასთან შედარებით 11 საფეხურით წაიწევს წინ, როცა ფლორენსის (აშშ) ტურნირზე აღებული 50 ქულა ამ კვირის ბოლოს დაერიცხება.** ასე რომ, უფრო მიუახლოვდება პირველ ასეულს. ამჟამად იგი 421 ქულით 147-ე ადგილზეა. რეიტინგში დანარჩენ ქართველთა მაჩვენებლები ასეთია: 233 (229). სოფო შაფათავა (252), 276 (278). ოქსანა კალაშნიკოვა (182), 482 (482). მაკა ჩახნაშვილი (71), 572 (560). ეკატერინე გორგოძე (53), 723 (724). სოფო ქვაცაბაია (28), 1191 (1195). თამარ ჭალაგანიძე (3), 1202 (1206). მარიამ ბოლქვაძე (3). ამჟამად ანა ტატიშვილი ნიუ ბრაუნფელსში (აშშ) იმყოფება, სადაც 50.000-იან ტურნირში ითამაშებს.

ნანტის (საფრანგეთი) მსგავსი შეჯიბრების საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩაება მაკა ჩახნაშვილი. მან ორი მეტოქე დაჯაბნა, მაგრამ მერე ფიონა ფიროსთან (საფრანგეთი) დამარცხდა – 1:6, 2:6, თუმცა იღბლიანი წაგებულის სტატუსით ძირითად ბადეში მაინც მოხვდა და მე-4 ნომერ ლარა არუაბარენას (ესპანეთი) შეხვდება.

სტამბოლის 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეშია სოფიო შაფათავა და პირველ წრეში იტალიელ კორინა დენტონისთან გაარკვევს ურთიერთობას.

**ლაშა დიდია**

# ორხელისუფლებიანობა

**საქართველოს მორაგბეთა მე-8 ტურის ცენტრალური მატჩი ქუთაისში გაიმართა, სადაც გათამაშების ლიდერმა „აიამ“ ქვეყნის ჩემპიონ „ლელოს“ უმასპინძლა. შეხვედრა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. რიონისპირელებმა წინა ტურში სტუმრად „არმიას“ სძლიეს და ჩემპიონებთან პაექრობას ოპტიმისტურად შეხვდნენ.** ორთაბრძოლა ორმხრივი იერიშებით დაიწყო, მაგრამ 22-ე წუთამდე ანგარიში არ გახსნილა. სწორედ ამ დროს ქუთაისელები საკუთარი ჩათვლის მოედნის სიახლოვეს დაჯარიმდნენ და ყიასაშვილმა ანგარიში გახსნა - 3:0, თუმცა მასპინძლებმა ასევე, ზუსტი საჯარიმო დარტყმით წონასწორობა მალევე აღადგინეს – 3:3. ამის შემდეგ უპირატესობას სტუმრები დაეუფლნენ და რიონისპირელთა თითოეული შეცდომა ყიასაშვილმა ქულებად აქცია- 21:3. „აიამ“ ბოლო წუთზე ლელო გაიტანა და გარდასახვაც ზუსტად გამოიყენა, რომელიც ნაგვიანევი აღმოჩნდა: „ლელომ“ 21:10 გაიმარჯვა და მასპინძლებს ერთპიროვნული ლიდერობა დააკარგვინა. მართალია, ჩემპიონები დაწინაურებულთ ქულით ჩამორჩებიან და მე-3 ადგილზე არიან, მაგრამ ერთი გადადებული მატჩი მარაგში აქვთ.



**მე-8 ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:** „არმაზი“ – „აკადემია“ 23:12, „ლოკომოტივი“ – „ბათუმი“ 36:17, „ჯიქები“ – „ხარები“ 43:10, „არმია“ – „ყოჩები“ 17:13.

**ლექსო ცინცაძე**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | +76 | 28 |
| 2. აია | 8 | 6 | 0 | 2 | +68 | 28 |
| 3. ლელო | 7 | 6 | 0 | 1 | +90 | 27 |
| 4. არმაზი | 7 | 5 | 0 | 2 | +21 | 22 |
| 5. ყოჩები | 8 | 4 | 1 | 3 | +26 | 21 |
| 6. ჯიქები | 8 | 3 | 2 | 3 | +51 | 20 |
| 7. არმია | 7 | 3 | 1 | 3 | +22 | 17 |
| 8. აკადემია | 7 | 1 | 0 | 6 | -109 | 6 |
| 9. ბათუმი | 7 | 1 | 0 | 6 | -105 | 5 |
| 10. ხარები | 7 | 0 | 0 | 7 | -120 | 2 |

ფეხბურთი

# ფიფამ „ოქროს ბურთის“ 23 პრეტენდენტი ჩამოწერა



**2013 წლის „ოქროს ბურთის“ პრეტენდენტების სია ცნობილია. პრიზისთვის, რომელსაც ფიფა გამოცემა France Football-თან ერთად გასცემს, 23 ფეხბურთელი იბრძოლებს. მათ შორის საუკეთესო მსოფლიოს ყველა ნაკრების კაპიტნებისა და მწვრთნელების, ასევე წამყვანი ევროპული სპორტული გამოცემების გამოკითხვის შედეგად დასახელდება.**

**კანდიდატებს შორის მოხვდნენ:** გარეთ ბეილი (უელსი), ლუის სუარესი, ედისონ კავანი (ორივე ურუგვაი), რადამელ ფალკაო (კოლუმბია), ედენ აზარი (ბელგია), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი), ანდრეს ინიესტა, ჩავი (ორივე ესპანეთი), ფილიპ ლამი, ბასტიან შვაინშტაიგერი, მესუთ იოზილი, თომას მიულერი, მანუელ ნოიერი (ყველა გერმანია), რობერტ ლევანდოვსკი (პოლონეთი), ლიონელ მესი (არგენტინა), ტიაგო სილვა, ნეიმარი (ორივე ბრაზილია), ანდრეა პირლო (იტალია), ფრანკ რიბერი (საფრანგეთი), რობინ ვან პერსი, არიენ რობენი (ორივე ჰოლანდია), კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია), იაია ტურე (კოტ დივუარი).

შეგახსენებთ, რომ „ოქროს ბურთის“ მოქმედი მფლობელი ლიონელ მესია, რომელიც საუკეთესოდ ზედიზედ ოთხჯერ დაასახელეს.

**გიორგი შოთაძე**

# შავკანიანი ფეხბურთელები მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის ბოიკოტზე ფიქრობენ

**„მანჩესტერ სიტის“ კოტდივუარელი ნახევარმცველი იაია ტურე, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მატჩის მსვლელობისას მოსკოვის ცსკა-ს გულშემატკივრების მხრიდან რასისტული თავდასხმების მსხვერპლი გახდა, ფიფას აფრთხილებს, რომ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, შავკანიანმა ფეხბურთელებმა 2018 წელს რუსეთში გასამართ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს ბოიკოტი გამოუცხადონ.**

სტადიონ „ხიმკიზე“ 2:1 მოგებული შეხვედრის დასრულებისთანავე 30 წლის აფრიკელმა განაცხადა, რომ რასისტულ შეურაცხყოფებს უყურადღებოდ არ დატოვებდა. რუსი გულშემატკივრების უმსგავსო საქციელი უეფას დელეგატის მოხსენებაშიც შევიდა და „ქალაქელებმა“ უეფა-ში ოფიციალური საჩივრის წერილიც აფრინეს.



სანამ ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია სიტუაციაში გარკვევას დაიწყებს, თავად ტურე უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ თუ რუსეთში რასიზმთან დაკავშირებული სიტუაცია უცვლელი დარჩება, შავკანიანი ფეხბურთელები პროტესტის ნიშნად 2018 წელს რუსეთში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას არ მიიღებენ.

უეფას მხრიდან ცსკა-ს სტადიონის დისკვალიფიკაცია და ჯარიმის სახით 50 ათასი ევროს გადახდა ემუქრება, მაგრამ ტურე ამით არ კმაყოფილდება და ფიფასგან მოითხოვს, რომ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში რუსეთი რასიზმის პროფილაქტიკით თავად დაკავდეს და პრობლემა სამუდამოდ აღმოფხვრას.

**მანუჩარ გიორგაძე**

კალათბურთი

ISBL

# სტუ მეორედ დამარცხდა

**საერთაშორისო საკალათბურთო სტუდენტურ ლიგაში მოთამაშე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა რიგით მესამე შეხვედრა უკრაინის ქალაქ ხარკოვის საერთაშორისო პოლიტექნიკური უნივერსიტეტის გუნდთან ჩაატარა და უაღრესად დაძაბულ ორთაბრძოლაში 62:67 (11:22, 20:19, 19:8, 12:18) დამარცხდა.**

ნიკოლოზ დერიუგინის დამოძღვრილი სტუ მომდევნო მატჩს დღეს კიევში იქაური პოლიტექნიკური უნივერსიტეტის გუნდთან გამართავს.

შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო სტუდენტურ ლიგაში მოასპარეზე სტუ-მ ორი შეხვედრა უკვე მოაწყო და ორივე თბილისში. სტუდენტები ჯერ მგუ-სთან (რუსეთი) 75:83 დამარცხდნენ, შემდეგ კი როსტოვის (რუსეთი) სფუ-ს (სამხრეთის ფედერალური უნივერსიტეტი) დიდი ანგარიშით 90:71 მოუგეს.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ინტერნეტიდან

# ნატალია ველესის გარყვნილებანი

**კოლუმბიელი ფეხბურთელის რადამელ ფალკაოს საყვარელი ნატალია ველესი ისეთი გარყვნილი ქალია, ქუჩაში რომ მიაბიჯებს, მშობლები ვაჟიშვილებს თვალებზე ხელს აფარებენ, ცუდი ზრახვები რომ არ გაუჩნდეთ. თუმცა, არც რადამელია ცაში მოფარფატე მტრედი და ჩიორა.**



გასულ ზაფხულს ფლორიდაში ზღვაში მოჭყუმპალავე რადამელმა და ნატალიამ ჭეშმარიტად მძაფრი გრძნობები ააალეს და მთელი საზოგადოების წინაშე კინაღამ მძლავრი სექსით დაკავდნენ. როგორც კოლუმბიელი მობურთალი ამბობს, მთელი ცხოვრება ნატალიასთანა ქალის ნატვრაში იყო და აკი აუხდა კიდეც.

შეგახსენებთ რომ რადამელ ფალკაო ორი წლის წინათ უპოპულარულეს პარაგვაელ მოდელს ლარისა რიკელმეს ხვდებოდა, მაგრამ წყვილი მალე დაშორდა. რადამელ ფალკაოსა და ნატალია ველესს რაც შეეხება, მტერს და ავს თუ ესენი ერთმანეთს დაშორდნენ...

**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?..“

# ვანოსავით გაღლეტილი მიშა ბიბლიოთეკას შემოწირულობებით აშენებს

**მიშას თურმე წიგნი ჰყვარებია, ჩვენ კი არ ვიცოდით (თუმცა შიგადაშიგ კი გვაბოლებდა პოეზიისა და ისტორიის ღრმა ცოდნით); აბა, საიდან უნდა გვცოდნოდა ის, რომ ერთობ დატვირთული გახლდათ საგმირო საქმეებით, რა ეწიგნებოდა.** ახლა კი ბიჭი თავისუფალია და აფუძნებს საკუთარ ბიბლიოთეკას... როგორ, რომელ ცნობილ პრეზიდენტზე ნაკლებია? მაგრამ საინტერესოა, როგორი შინაარსის წიგნებით შეავსებს თავის საოცნებო ბიბლიოთეკას? – ეს ადვილი მისახვედრია. მიშა თავად დაწერს წიგნებს თავის მწიგნობარ ნაცო-კაცუნებთან ერთად, ჩამოაყალიბებს თავის აზრს ძალადობის ფორმების გამოყენების შესახებ, როგორიცაა: შიშის დანერგვა ხალხში, სასტიკი ფიზიკური წამების მეთოდები უდანაშაულო ადამიანების მიმართ, კერძო საკუთრების უკანონოდ ჩამორთმევის ხერხები, ტყუილის სიმართლედ გასაღების „ტექნოლოგია“, ე. წ. აგენტების შექმნის სქემა, ომის უკუღმართად წარმართვის ძირითადი სტრატეგია, მოსმენებისა და დასმენების ხელოვნება და ა. შ.

დარწმუნებული ვარ, რომ მიშა თავისი გემოვნებით არქიტექტურის ღრმა ცოდნითაც გაგვანათლებს...

მიშა, ახლა მთავარია იმუშაო შემოწირულობებზე, აბა, შენ ფული სადა გაქვს ბიბლიოთეკა რომ დააფუძნო, ვანოსავით გაღლეტილი ხარ. შენს სარეზერვო ფონდში ერთი ლარიც აღარ არის. თან „გენიალურად“ განჭვრიტე, ცარიელი სარეზერვო ფონდი დაუტოვე მომავალ პრეზიდენტს.

**ლონდა მდივანი**

P. S. **უნდა მოგახსენოთ, რომ მიშას არა მარტო წიგნები და ხელოვნება, სპორტიც საოცრად უყვარს, განსაკუთრებით სირბილი... ახლახან ისე დარბოდა ანაკლიის სანაპიროზე, რომ მსოფლიოს ცნობილი სპრინტერები ზატოპეკი და პავო ნუმი ვერ დაეწეოდნენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მას სტაიერის დისტანციაზე ოქროს მედლით დააჯილდოებენ, თუმცა, მისი სირბილი უფრო ნირწამხდარი კაცის ძუნძულს ჰგავდა...**

---

# უშბის ერთ კალთას „ეძინა“...

**ი. გაბლიანის ოჯახში (მესტიაში) სტუმრობისას საოცარი რამ მოვისმინე...**

ერთ დღეს ი. გაბლიანის ქალიშვილმა, ჩემმა მეგობარმა ცირუმ მითხრა: დღეს ჩვენთან მხცოვანი ცნობილი მთამსვლელები მოვლენ ახალგაზრდებთან მოსალაპარაკებლადო... რატომ-მეთქი, არ მიკითხავს... საღამო ხანს ჯერ ახალგაზრდები, შემდეგ კი უხუცესნი მოვიდნენ, აივნის ერთ კუთხეში მდგარ მაგიდასთან დასხდნენ. მე ოთახში ვიჯექი. აივანზე ოთახის ღია ფანჯრიდან კარგად ისმოდა მათი საუბარი. ისინი ძირითადად სვანურად ლაპარაკობდნენ, ხანდახან კი – ქართულად. ნათლად გავიგე, რომ უფროსი ალპინისტები კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ, რომ ახალგაზრდებს დაელაშქრათ უშბის ერთ-ერთი კალთა, ახალგაზრდები არ ეთანხმებოდნენ.

ბოლოს ერთმა მხცოვანმა ალპინისტრმა უკვე ქართულად, გაბრაზებით თქვა: რად არ გესმით, ამ დროს უშბის ამ კალთას სძინავს. თქვენ რომ გეძინოთ და გაგაღვიძონ, ხომ გაბრაზდებითო. მეუცხოვა გამოთქმა: „მთის ამ კალთას ახლა სძინავს“; ეს გამოთქმა მეტად საინტერესო, საოცარ გამოთქმად აღვიქვი.

ახალგაზრდებმა მაინც თავისი გაიტანეს და მეორე დილით ხუთი კაცისგან შემდგარი ჯგუფი გაემგზავრა უშბის ამ კალთის დასალაშქრად. ორი დღის შემდეგ კი მოვიდა სამწუხარო ცნობა ორი მათგანის დაღუპვის შესახებ. საოცარი გლოვის ზარი ისმოდა მთელ მესტიაში... იგი თავისი სიძლიერით უშბის მიძინებულ კალთას აღვიძებდაო. მე ისიც გავიფიქრე, ამ ზარმა ხომ არ გააღვიძა-მეთქი. მაგრამ არა, ის უფრო ადრე გააღვიძეს...

**ლონდა მდივანი**

◉ ჯოჯოხეთია მოსაგონებლად!..

# მტარვალი გზირი

**„არქიტექტორ“ სააკაშვილის ხუშტურებს შეეწირა ბაგრატის ტაძარი. ის იუნესკოს ისტორიულ ძეგლთა ნუსხიდან ამოიღეს. მიზეზი ის იყო, რომ სააკაშვილის მითითებით მშენებლებმა არ გაითვალისწინეს იუნესკოს სპეციალისტების რჩევა-რეკომენდაციები და სარესტავრაციო სამუშაოები „დიდი არქიტექტორის“ ნება-სურვილით ჩაატარეს.**

ანალოგიურის გაკეთება სურდა სააკაშვილს ტაო-კლარჯეთში იშხნის სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოების მიმდინარეობის დროსაც. მაგრამ ახალი ხელისუფლების კულტურის სამინისტრომ არ მიუშვა იგი თავის ნებაზე... „მაღალმა“ წყენა გულში ჩაიხვია და ხელი უკვე მიიღო. იგი ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერს, რადგანაც ამით რაბათის ციხე-სიმაგრეს განადგურება უწერია. კულტურის მინისტრისთვის, გურამ ოდიშარისთვის ეს განცხადება შოკის მაგვარი აღმოჩნდა. მისი განცხადებით, დოკუმენტში მსგავსი რამ არაფერი წერია და განმცხადებლის მოსაზრებას მცდარს უწოდებს.

ბოლოს „მაღალმაც“ ინება თავისი მოსაზრების გამოხატვა და თქვა, რომ მისსა და მერაბიშვილის აშენებულ რაბათის ციხე-სიმაგრეს(?!) კულტურის სამინისტრო დანგრევას უპირებს, რასაც იგი პირადად არ დაუშვებს.

ოდიშარია ამბობს, რომ ამ საკითხზე განმარტება გააკეთეს, როგორც მან, ასევე სამინისტროს



არ მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც თურქული მხარე ნებას დართავდა ჩვენს არქიტექტორებს, სპეციალისტებს სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება მოეხდინათ.

კულტურის მინისტრის მოადგილე მიზანდარი განგაშის ზარებს რეკდა, რომ თურქული კომპანია ჩქაროსნული ტემპით აწარმოებდა აღდგენით სამუშაოებს, ქართველ არქიტექტორებს კი ჩვენი პრეზიდენტის ხელმოწერილი დოკუმენტის გარეშე მათზე დასწრების ნებართვას არ აძლევდნენ. არადა დოკუმენტი, მომზადებული კულტურის სამინისტროს მიერ, ჯერ კიდევ წლის დასაწყისში იყო ხელმოსაწერად გადაგზავნილი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. მისი თანამშრომლები ვერაფერს ამბობდნენ ხელმოწერის შეყოვნების მიზეზებზე. ცხადი ხდებოდა, რომ ხელმომწერი თავისი მანიაკალური სამაგიეროს გადახდის ქვენა გრძნობებით იყო შეპყრობილი.

ბოლოს სააკაშვილის ადმინისტრაციამ ამოიღო ხმა და განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ხელმძღვანელმა მუშაკებმა. შეხვედრაც მოეწყო მერაბიშვილთან (ჯერ კიდევ თავისუფლებაზე მყოფთან). მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ცხადი გახდა, რომ საკუთარი ხუშტურების გატანას ნაჩვევი სააკაშვილი დოკუმენტს ხელს არ მოაწერდა. საჭირო გახდა პირადი კონტაქტების დამყარება თურქ კოლეგებთან, რაც მოხერხდა კიდეც.

22-24 ოქტომბერს ჩვენი 12-კაციანი დელეგაცია თურქეთში იშხანზე მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების მოსანახულებლად იყო ჩასული. 28 ოქტომბერს თავად მინისტრი ჩავიდა თურქეთში და თურქ კოლეგასთან ერთად დაათვალიერა კომპლექსი. ასე რომ, სააკაშვილის ხელმოწერილი დოკუმენტი საჭირო აღარაა.

„მაღალი“, თავისი ქცევებით ძალიან წააგავს „ავ გზირს“, ცოცხალმა (პრეზიდენტად ყოფნის დროს) ხომ გაგვამწარა და გაგვამწარა, მკვდარმა (პოლიტიკური გვამის პირობებში) ხომ სულ ამოგვაგდო.

**ზაზა ბილიხოძე**



მეუღლე ნაზი (ბაია) სხირტლაძე, შვილები ლევანი, ქეთევანი, შვილიშვილები ლუკა ლომიძე, ბარბარე, სიძე გიორგი ლომიძე, რძალი ნინო მირიანაშვილი, ნანა სხირტლაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული ჟურნალისტი, მეცნიერი

**თამაზ ებანოიძე**

◉ ინფორმაცია

## მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში საბრძოლო მასალა აღმოჩნდა

**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განუცხადა.**

**მისი თქმით, ყუთში მოთავსებული საბრძოლო მასალა ერთ-ერთ ოთახში, სარემონტო სამუშაოების დროს, კედელში იპოვეს.**

**როგორც გიორგობიანმა აღნიშნა, აღმოჩენილი საბრძოლო მასალის სიძველიდან გამომდინარე, ის, სავარაუდოდ, ვარგისი არ არის, თუმცა, მას ექსპერტიზა მაინც ჩაუტარდება.**

**ნინო გიორგობიანის თქმით, ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები უკვე დასრულებულია, სწავლის პროცესი კი არ შეფერხებულა.**

**ინტერპრესი**



◉ ნანოტექნოლოგია

# მომავლის „ბიბლიოთეკა“

**ევროპის ბიოინფორმატიკის ინსტიტუტის, ევროპის მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორიისა და კომპანია „ეიჯილენტ ტექნოლოჯის“ ბრიტანელმა, გერმანელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა მოძალებული ინფორმაციის... დნკ-ს მოლეკულებზე ჩაწერის წინადადება წამოაყენეს!**



მოპოვებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ინფორმაციის ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომად შენახვა, რაც კაცობრიობის მოღვაწეობის უკლებლივ ყველა სფეროში მისი ნაკადის მომძლავრებასთან ერთად სულ უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს. ადამიანი ინფორმაციას უხსოვარი დროიდან ინახავდა – ჯერ გამოქვაბულთა კედლებზე ნახატების სახით, მერე თიხის ფირფიტებზე ამოტვიფრული ასოებით, ქაღალდზე ბეჭდვით, მაგნიტურ ფირებზე, კომპიუტერების ხისტ დისკოებზე, ფლეშკებზე... მაგრამ ესეც არასაკმარისი აღმოჩნდა იმ ზღვა მასალის შესანახად, რომელიც ყოველდღიურად უწყვეტ ნაკადად მოედინება. მაგალითად, დიდი ანდრონული კოლაიდერი ყოველწლიურად 16 პეტაბაიტ (ანუ 16 თხუთმეტი ნოლით!) სამეცნიერო ინფორმაციას ინახავს. სად უნდა შევინახოთ მთელი ეს სიმდიდრე?

ამიტომაც იყო, რომ მეცნიერთა ყურადღება **დნკ-ს მოლეკულამ მიიპყრო, რომელიც, არსებითად, გენეტიკური სცენარია, ანუ დედამიწაზე არსებულ უკლებლივ ყველა ცოცხალი ორგანიზმის უჯრედის ბირთვზე ჩაწერილი პროგრამა.** იგი მხოლოდ ოთხი ასოსგან შემდგარი ანბანის ენაზეა კოდირებული (კომპიუტერული ტექნოლოგია რომ გამოვიყენოთ, თითოეულ ასო-ბგერას ორი ბიტი შეესაბამება). მისი თითოეული ბრძანება – გენი – ასიათასობით ასოსგან შედგება და სწორედ გენები განსაზღვრავენ უჯრედების ყველა ურთულეს ფუნქციას. თავისი არსით, **დნკ – ეს რაღაც კომპიუტერის ხისტი დისკოს მსგავსი რამაა, რომელზეც უფალი მთელი ქვეყნიერების შესახებ ინფორმაციას ინახავს.** მისი მოცულობა განუზომლად დიდია – პროგრამისტების გათვლებით, დნკ ერთ გრამ მატარებელ მაკრომოლეკულებში „შეფუთულ“ მილიარდობით გიგაბაიტს წარმოადგენს, რომლის ერთი მილიგრამიც კი საკმარისი იქნებოდა ნებისმიერი უზარმაზარი ბიბლიოთეკის ჩასაწერად, თან უამრავი ადგილიც მორჩებოდა. სწორედ ამ გენეტიკურ ვინჩესტერზე გადაწყვიტეს მეცნიერებმა ყოველივე იმის ჩაწერა, რაც სამარადჟამო შენახვას ექვემდებარება.

– ჩვენ უკვე შევძელით ერთ მოლეკულაზე ჩაგვეწერა შექსპირის 154-ვე სონეტი, მარტერ ლუთერ კინგის სიტყვა და ათასობით ფოტოსურათი, – აცხადებს პროექტის ერთ-ერთი მონაწილე, მოლეკულარული ბიოლოგიის სპეციალისტი ნიკ გოლდმანი.

მეცნიერებმა შექსპირის სონეტები არა მარტო ჩაწერეს, არამედ შემდგომ გაშიფრეს კიდეც და წაიკითხეს, თანაც ასპროცენტიანი სიზუსტით. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა პროექტმა საკმაოდ სერიოზული, ჩვენი აზრით, არცთუ უსაფუძვლო შიში წარმოშვა: **რა შედეგი შეიძლება მოყვეს იმას, თუ ასეთი კოდირებული დნკ ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში მოხვდება?** ამაზე ახალი ტექნოლოგიის ავტორები პასუხობენ, რომ სინთეზირებული დნკ გენომში შემთხვევით ვერ მოხვდება, ვინაიდან მასში ცოცხალი ორგანიზმების უჯრედების დნკ-ებისგან სრულიად განსხვავებული კოდი გამოიყენება.

მეცნიერები აცხადებენ, რომ უახლოეს 10-20 წელიწადში დნკ-ფლეშკები ჩვენთვის ესოდენ ჩვეული ინფორმაციის ელექტრონულ მატარებლებს შეცვლიან, რადგან მათ უამრავი უპირატესობა აქვთ. კერძოდ, **დნკ-ს მხოლოდ 4 გრამში კაცობრიობის მთელი წლის მანძილზე დაგროვილი ინფორმაციის ჩაწერაა შესაძლებელი;** მის შესანახად არანაირი ენერგია არ არის საჭირო; დნკ ინფორმაციას ათიათასობით წლის მანძილზე შეინახავს.

მთავარია, იგი ბნელ, მშრალ და გრილ ადგილას შევინახოთ!

## ჩვენი კარაბადინი

### ჩაი კბილებს გვინარჩუნებს



**დღეში სამი ფინჯანი ჩაი დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ კარიესი, მიაჩნიათ ამერიკელ დიეტოლოგებს.**

ჩაი გვეხმარება ვებრძოლოთ ბაქტერიების ორ სახეობას — სუპერკოკებსა და ლაქტობაქტერიებს. დღის ყველაზე ეფექტიანი დოზაა — 3-4 ფინჯანი. თურმე, ჩაი აგრძელებს ბრძოლას ბაქტერიებთან, რომლებიც კბილის ემალს ანგრევენ, მაშინაც კი, თუ მას აქვს დამატებული შაქარი.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ნაკლებად იყო ცნობილი ჩაის პოტენციალის შესახებ კარიესთან ბრძოლაში. მის დადებით გავლენას პირში ანთების შემცირებას უკავშირებენ, აგრეთვე ადგეზიას — კბილებთან ემალის შეჭიდულობას, შეწებებას.

### ბროკოლი ართრიტის წინააღმდეგ

**მცენარეული კომპონენტი, რომელსაც ბროკოლი შეიცავს, გვეხმარება თავიდან ავიცილოთ ართრიტის ფორმების უმრავლესობა და შევიმსუბუქოთ დაავადების მიმდინარეობა, მიაჩნიათ ბრიტანელ მეცნიერებს.**

თაგვებზე ექსპერიმენტების, აგრეთვე, ლაბორატორიული კვლევების დროს, როდესაც ადამიანის ხრტილის უჯრედებს და ძროხების ხრტილოვანი ქსოვილის უჯრედებს იყენებდნენ, მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ნივთიერება სულფორაფანი ბლოკავს იმ ფერმენტებს, რომლებიც სახსრების დანგრევას იწვევენ.

სულფორაფანი დიდი ოდენობითაა ჯვაროსნების ოჯახის ბოსტნეულში: ბრიუსელისა და თეთრ კომბოსტოში, ყველაზე მეტი ოდენობით კი — ბროკოლში.

### ნუ სვამ წყალს, თიკანი გახდები!

**ჩვეულება — ვჭამოთ მონიტორისგან მოუწყვეტლად, მავნეა ჯანმრთელობისთვის, ვინაიდან საკვები, რომელიც კომპიუტერთანაა, განიცდის ელექტრომაგნიტურ დასხივებას, მიაჩნიათ სპეციალისტებს კიევის ადამიანის ეკოლოგიის ინსტიტუტიდან.**

კომპიუტერული გამოსხივების გამო წყალმა შეიძლება შეიცვალოს თავისი სტრუქტურა —ეს გვიჩვენა მოლეკულარულმა ანალიზმა წყლისა, რომელიც დროებით კომპიუტერის მახლობლად იყო. უკრაინული ეკოლოგების სიტყვებით, წლების განმავლობაში წყლის მავნე ეფექტი გროვდება და ზრდის ისეთი საშინელი სენების რისკს, როგორებიცაა ალცჰეიმერის, პარკინსონის, ონკოლოგიური დაავადებანი.

**ინფორმაციას კომენტარს უკეთებს ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ოლეგ გრიგორიევი:**

— თუ მოკლედ ვიტყვით — ეს ბოდვაა.

ჯერ ერთი, კომპიუტერებს ელექტრომაგნიტური ველის სხვადასხვაგვარი დახასიათება აქვთ. ზოგიერთი თითქმის საერთოდ არ გამოასხივებს ელექტრომაგნიტურ ტალღებს, სხვები გამოასხივებენ ძალიან ძლიერად. რომელ კომპიუტერებს იყენებდნენ ექსპერიმენტში? მეორეც, თანამედროვე კომპიუტერები თხევადკრისტალური მონიტორებით ქმნიან თითქმის შეუმჩნეველ მცირე ველს. ვერანაირი ჩვეულებრივი ჰიგიენური, ვერც სამედიცინო ხელსაწყოებით მას ვერ დაინახავ. და, მესამეც, დღევანდელი საკვები, ის, რომელსაც მაღაზიაში ვყიდულობთ —პურიც, რძეც, ხორციც, ხილის ჩირიც... უკვე შრობის, გაწმენდის სტადიაშია, გაუვნებლობა გაიარა სხვადასხვა დიაპაზონის ელექტრომაგნიტური ველების ხანგრძლივი ზემოქმედებით. და ყოველივე, რაც მასში შეიძლებოდა დანგრეულიყო, უკვე დაინგრეოდა.

### ყველაზე მავნე საუზმე ბუტერბროდია



**ყველში, ლორში, ძეხვში ცხიმების მაღალი შემცველობა — ესაა დარტყმა სისხლძარღვებზე და პირდაპირი გზა ათეროსკლეროზისკენ.** ორგანიზმში მოხვედრილი ცხიმები ხელს უწყობენ ქოლესტერინული ბალთების წარმოქმნას. ასე რომ, დილაობით არა თუ უმჯობესია ფაფების ჭამა, რომლებიც უკეთ გვანაყრებენ, არამედ ხელსაც უწყობენ ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებათა გამოდევნას.

### დაწოლილები უკეთესად ფიქრობენ!

**ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ფიზიოლოგები ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტიდან.** 20 მოხალისე ხსნიდა კროსვორდებს ჯერ ვერტიკალურ, შემდეგ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. აღმოჩნდა, რომ წოლით მდგომარეობაში მოხალისეები არა მხოლოდ ლებულობდნენ სწორ გადაწყვეტილებას, არამედ პასუხებზე გაცილებით ნაკლებ დროს კარგავდნენ.

### ნიორი წამლებზე უფრო ძლიერია

**მასში აღმოაჩინეს ნატურალური შენაერთები, რომლებიც 10-ჯერ უფრო ეფექტიანია ყველაზე თანამედროვე ანტიობიოტიკებთან შედარებით.** მათ შეუძლიათ შეაღწიონ იმ ფირში, რომელიც იცავს ბაქტერიების კოლონიას. ამჟამად ამ შენაერთებს აქტიურად სწავლობენ. ფარმაკოლოგები გვირჩევენ აქტიურად დავუმატოთ ჩვენს რაციონს ნიორი. თუმცა, ვფიქრობთ, ქართველებს ასეთი რამ არ ესწავლებათ.

**გამოკითხვა**

**მზად ხართ იაროთ სამსახურში და საქმეებზე ხანდახან ველოსიპედით?**

**62,5 პროცენტი — არა, ჩვენთან არაა საიმისო კლიმატი, არც მანძილია საიმისოდ, არაა საველოსიპედო გზები, ქუჩები გაზითაა გაჟღენთილი**

**32 პროცენტი — კი, ჩემთვის კარგი იქნებოდა**

**5,5 პროცენტი — უკვე დავდივარ.**

**სულ გამოკითხვაში მონაწილეობას 264 კაცი ღებულობდა.**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### საქართველოში მინიმუმ 50 წლის ნავთობის მარაგი არსებობს!

— **საქართველოში** ნავთობმოპოვებისა და ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობის განვითარება დაყადაღებულია, — აცხადებს ექსპერტი ენერგეტიკულ და ბიოლოგიურ საკითხებში არჩილ ქავთარაძე და მიაჩნია, რომ ქვეყანაში არსებული ნავთობრესურსების გამოყენება აუცილებლად უნდა დაიწყოს. — წლების წინ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში მინიმუმ 50 წლის ნავთობის მარაგი არსებობს. „ვარდების რევოლუციამდე“ მისი მოპოვება დაიწყო, მაგრამ შემდეგ ნაციონალურმა მოძრაობამ ამ საკითხს, როგორც ნედლი ნავთობის გადამუშავებას, ყადაღა დაადო, რადგან იმპორტით უფრო ადვილი ფული იშოვებოდა. დღეს კი აუცილებელია, რომ აშენდეს გადამმუშავებელი საწარმო, რომელიც ჩვენი ნავთობის მოპოვებამდე აზერბაიჯანულ ნედლ ნავთობს შემოიტანს და გადაამუშავებს, — ამბობს არჩილ ქავთარაძე.

**„რეზონანსი“**

### ერგემლიძეს საკუთარმა შვილმა საჯაროდ აგინა

„**ნუგზარ** ერგემლიძე, მრცხვენია, შენი შვილი რომ ვარ!“ — წერს გიორგი ერგემლიძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე. გიორგი ერგემლიძე ასევე, რობერტ ბარძიმაშვილსაც აგინებს, „და ვინც მამაჩემი მუსიკაში მოიყვანა, იმის დედაც,... ანუ რობერტ ბარძიმაშვილისა“, — წერს გიორგი. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ოჯახში პოლიტიკურ შეხედულებებზე აზრთა სხვადასხვაობაა, მამა „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერია, შვილი — „ქართული ოცნების“.

**„ალია“**

### რას ითხოვს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი?

**საქართველოს** პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე ბიზნესმენებს მიმართავს. ის მსხვილი კომპანიების მფლობელებს მოუწოდებს, დაეხმარონ ეროვნულ ბიბლიოთეკას მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში.

„მივმართავ მსხვილი კომპანიების წარმომადგენლებს. მოგეხსენებათ, რომ ბიბლიოთეკას აქვს იშვიათ, უნიკალურ გამოცემათა განყოფილება და ფონდი, სადაც მსოფლიო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ქართული თუ უცხოური გამოცემები ინახება. ჩვენი მიზანია, ეს ადგილი გადაიქცეს ერთგვარ წიგნის მუზეუმად, პერმანენტული და პერიოდული გამოყენებით და თანამედროვე საცავით. მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში გამოჩნდება ბიზნესმენი, რომელიც დაგვეხმარება ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებაში. მით უფრო, ეს იქნება ერთჯერადი აქცია და კომპანიის სახელი მართლაც დარჩება ქართული კულტურისა და წიგნიერების ისტორიაში“, — აცხადებს გიორგი კეკელიძე.

**„ახალი თაობა“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

— **რაბინოვიჩ**, ვინ არის თქვენი დედა?
— სამშობლო.
— მამა?
— დედაჩემი მარტოხელაა.

* * *

— **ბრც** კი გაინტერესებს, რატომ ვტირი, ხომ? გინდა, გითხრა? — სლუკუნით საყვედურობს ცოლი ქმარს.
— არ არის საჭირო! მაგდენი ფული არა მაქვს!

* * *

— **პეტკა**, რამდენი გაქვს გასამრჯელო?
— ოთხი ათასი უპრემიოდ.
— ეს შენი ხელფასია?
— კარგი რა, ნუ მაცინებ! ეს ხელფასი კი არა, დაცინვაა...



* * *

— **ქალური** ლოგიკა მამაკაცური ლოგიკის უარყოფაა, — ეუბნება ბიჭი გოგოს.
— არა! — კატეგორიულია გოგო.

* * *

— **ესე** იგი, ეს ყველაზე ახალი ქსოვილია?
— გუშინ მივიღეთ, პირდაპირ ფაბრიკიდან.
— ხომ არ ხუნდება?
— რას ამბობთ! — მთელი თვეა, რაც ვიტრინაში ჰკიდია, მაგრამ არაფერი არ მოსვლია!

* * *

**როგორ** უნდა მიხვდე ქალი, გჭირდება თუ არა გახდომა? თუ მამაკაცს ძალუძს, ხელში ატატებული წაგიყვანოს საწოლისკენ, კარგ ფორმაში ხარ... ხოლო, თუ მამაკაცი ამას ვერ შეძლებს, მაშინ ნორმალური კაცით შეცვალე ის დაბდურა!!!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24